# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 19 თებერვალი 2003 №27 (1798) | ფასი 50 თეთრი







REUTERS

# ბარსელონამ ლიგაში იმკურნალა

## წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა გამარჯვების აქტის გახანგრძლივებით




ნიუკასლელებმა სერ ბობი რობსონს 70 წელი სამი ქულით მიულოცეს

*ჩემპიონთა ლიგა განახლდა და პირველსავე დღეს რეკორდი გამოცხვა. ძველმა რეკორდმა ცხრა წელი გაძლო, მეათეზე დაემხო და ვინძლო კიდევ ათი წელი ვერავინ გააუმჯობესოს — „ბარსელონამ“ ზედიზედ მეთერთმეტე სალიგო თამაში მოიგო. ეს ის „ბარსელონაა“, რომლის თავზეც წისქვილის მძიმე ქვა ტრიალებს, რეკორდს კი ვილაც ბეჩავთან კი არა, მილანის „ინტერთან“ შეხვედრაში შესწვდა.*

*ამავე ჯგუფში პირველი თამაში მოიგო „ნიუკასლმა“ და ამგვარად აღნიშნა თავისი მენეჯერის, სერ ბობი რობსონის იუბილე. „ნიუკასლმა“ „ბაიარენაზე“ დასცა „ლევერკუზენი“, რომელიც ჩემპიონთა ლიგაშიც ბუნდესლიგისამებრ უსუსურია და ვერც მწვრთნელის შეცვლამ უშველა.*

*თითქოს ყველაფერი გარკვეულია, რა უნდა მოხდეს, რომ „ბარსელონა“ ჯგუფში ჩარჩეს, „ლევერკუზენი“ კი მეოთხედფინალში გავიდეს, მაგრამ კირკიტა კაცი, ყველა ვარიანტს რომ გამოთვლის, იტყვის, შესაძლოა, ეგრეც მოხდესო.*

*და თუ აქ ასეა, რაღა ვთქვათ **B** ჯგუფზე, სადაც ერთბაშად სამ გუნდს დაუგროვებია თანაბარი ქულები. ამ სამეულში კი ჯერჯერობით ყოჩობს „აიაქსი“, რომელსაც თავიდან ბოლოადგილოსნობას უქადდნენ. ბოლო „რომაა“, „ლევერკუზენივით“ სამივე თამაშის წამგები გუნდი, სერია **A**-შიც რომ ვერ მისდის საქმე კარგად.*

*დღეს კიდევ ოთხი სალიგო თამაშია. რეკორდზე თვალი აღარავის უჭირავს, მაგრამ გვარიანი ბურთაობა რომ გაჩაღდება, მტკიცება რად უნდა.*

# ანჩელოტიმ კალაძე ჟურნალისტებს დაუთმო

დღეს „სან სიროზე“ „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს. კარლო ანჩელოტის გუნდის სამზადისზე დღევანდელ „სარბიელში“ წაიკითხავთ.

„შავ-წითლებში“ წესად აქვთ, მატჩამდე მთავარი მწვრთნელი და გუნდის რომელიმე ფეხბურთელი პრესკონფერენციას მართავენ და ჟურნალისტთა კითხვებსაც ამომწურავ პასუხებს სცემენ. თუკი „მილანის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი მედიელთა ხშირი სტუმარია, გუშინ ჩვენებური კახა კალაძის ჯერი გახლდათ. ანჩელოტიმ თუ ჟურნალისტებმა სხვათაგან კალაძე გამოარჩიეს.

რა უთხრა საქართველოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა იტალიელ კოლეგებს ქვემოთ წაიკითხავთ, თუმც უმთავრესი წუხელვე შევიტყვეთ, დღეს კახა კალაძე მოსკოვის „ლოკომოტივთან“ არ ითამაშებს, მატჩს მისივე ბედის გამზიარებელ ორ თანაგუნდელთან ერთად ტრიბუნიდან უყურებს...

კალაძეს გუშინ მილანში დავუკავშირდით

— კარლო ანჩელოტიმ „ლოკომოტივთან“ მატჩისთვის 20 ფეხბურთელი შეიგულა, თქვენ მათ შორის არ ხართ...

— ტრავმის გამო ვერ ვითამაშებ, ფეხი მტკივა.

— ფეხი ლაციოელ სტეფანო ფიორესთან შეჯახებისას იტკინეთ, სერიოზული ხომ არაფერია?

— არა მგონია რაიმე გართულებები მოჰყვეს. თუ ყველაფერი ნორმალურად წავა, შაბათს, სერია A-ს ტურის მატჩში „ტორინოსთან“ აუცილებლად ვითამაშებ.

— როგორც წესი, მატჩამდე მწვრთნელი და რომელიმე ფეხბურთელი ჟურნალისტებთან პრესკონფერენციას მართავენ. გუშინ, ეს პატივი თქვენც გერგოთ.

— ჰო, დღევანდელ მატჩზე ვილაპარაკეთ. იცით, „ლოკომოტივი“ იტალიაში გადიოდა შეკრებას და ჩვენთან საპაექროდ სერიოზულად ემზადება. კარგი გუნდი კია, მაგრამ ჩვენ მილანშიც და მოსკოვშიც [illegible] ექვსი ქულა უნდა ავიღოთ.

— „ლოკომოტივს“ ქართველი ახალწვეული ჰყავს — მალხაზ ასათიანი, ხომ არ გინახავთ?

— სამწუხაროდ, არა, დრო ვერ გამოვნახე.

— თქვენს გარდა, „მილანს“ ვერც უკრაინელი ანდრეი შევჩენკო დაეხმარება...

— კი, ეგრეა. ჩემი არ იყოს, ანდრეიც „ლაციოსთან“ მატჩში დაშავდა, ბარძაყის უკანა კუნთი სტკივა, თუმც სერიოზული არაფერია. ტრავმირებულია მასიმო ამბროზინიც. მოკლედ, მე, შევჩენკო და ამბროზინი „მილანს“ ტრიბუნიდან ვუქომაგებთ.

**გიორგი ვაშაკიძე**



კახა კალაძე



REUTERS

არსენალი — აიაქსი. ამსტერდამელთა კაპიტანმა კრისტიან კივუმ ტიერი ანრის მყრატელს ზურგი შეაქცია

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## II ჯგუფური ეტაპი. III ტური

### A ჯგუფი

**ბარსელონა 3:0 ინტერი**

1:0 საჟიოლა (7), 2:0 კოკუ (29), 3:0 კლუივერტი (67)
ბარსელონა: ბონანო, გაბრი, პუიოლი, დე ბური, რაიციგერი, ოვერმარსი (როჩემბაკი 71), კოკუ, ხავი, მოტა (მენდიეტა 73), კლუივერტი, საჟიოლა (ლუის ენრიკე 81)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, გამარა, კორდობა, დალმა, დი ბიაჯო (ოკაკი 59), კ. ძანეტი, მორფეო (კალონი 66), ვიერი, რეკობა
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: კორდობა, კ. ძანეტი
გაძევება: რეკობა (80)
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
87 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 1:3 ნიუკასლი**

0:1, 0:2 ამეობი (5, 16), 1:2 ფრანცა (26), 1:3 ლუა ლუა (32)
ლევერკუზენი: ბუტი, პროისი (შნაიდერი 46), კლაინი, კრისი (კალსენ-ბრაკერი 72), ოჯიგვე, შიმაკი, ბალიტჩი (კალუჟნი 79), ბაშთურქი, ბრდარიჩი, ნოივილი, ფრანცა
მწვრთნელი: თომას ჰორსტერი
ნიუკასლი: გივენი, ჰიუზი, ბრემბლი, ობრაიენი, ბერნარი, ჯენასი, დაიერი, სპიდი, რობერი, ლუა ლუა (ჩოპრა 84), ამეობი (კორტი 84)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: ბალიტჩი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
22 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| ნიუკასლი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| ლევერკუზენი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:8 | 0 |

### B ჯგუფი

**არსენალი 1:1 აიაქსი**

1:0 ვილტორდი (5), 1:1 დე იონგი (17)
არსენალი: სიმენი (ტეილორი 46), ლორენი, კემპბელი, სიგანი, კოული, ვილტორდი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა (ჯეფერსი 72), პირესი, ანრი, ბერხკამპი (კანუ 85)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, კივუ, პასანენი, ვან დამი (ვიჩგე 76), პიენაარი (იაკუბუ 90), მაქსველი, გალაშეკი, დე იონგი, ვან დერ მეიდე, იბრაჰიმოვიჩი (ბუხარი 79)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: პასანენი, ლობონტი, ჟილბერტო სილვა, ბუხარი, პირესი
მსაჯი: ლუსილიუ ბატისტა კორტესი (პორტუგალია)
35 427 მაყურებელი

**რომა 0:1 ვალენსია**

0:1 კარეუ (79)
რომა: პელიცოლი, ძებინა, დელასი (ბომბარდინი 54), ალდაირი, პანუჩი, კაფუ, ტომაზი, ლიმა, გიგუ, მონტელა (კასანო 46), დელვეკიო (კუფრე 54)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ვალენსია: კანისარესი, რეველიერი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, რუფეტე (მისტა 72), ალბელდა, ბარახა, ვისენტე (კილი გონსალესი 62), აიმარი (მარჩენა 88), კარეუ
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კანისარესი, ძებინა, კილი გონსალესი, გიგუ, მისტა
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| არსენალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| რომა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები**

შეფილდ იუნ. 1:3 რედინგი
ჯილინგემი — უიმბლდონი გადაიდო

**მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები**

ჩელტენემი 1:3 ბარნსლი
ბრენტფორდი — კოლჩესტერი ჩაიშალა

**მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები**

ექსეტერი 2:5 კიდერმინსტერი
მაკლსფილდი — ლეიტონი გადაიდო
ბერი — ოქსფორდი გადაიდო

### შოტლანდია

**მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი**

რეითი — სტენჰაუზმური გადაიდო

**ასოციაციის თასი
1/16 ფინალი. გადათამაშება**

აბერდინი 4:1 ძუინი

### ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები**

იგლსი 2:2 ოსი
ვეენდამი 1:4 კამბური
ვენლო 2:1 ტელსტარი
ეინდჰოვენი 1:0 სიტარდი
ჰაარლემი — ჰერაკლესი გადაიდო

### საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები**

გენიონი 0:1 ლე მანი
ნანსი 2:2 ვალანსი
სენტ ეტიენი — ამიენი გადაიდო

### მეფის თასი. II ტური

ტაილანდი 1:1 ყატარი
შვედეთი 1:1 ჩრდ. კორეა

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. III ტური. დღეს

## C ჯგუფი

### რეალი — დორტმუნდი

**სავარაუდო შემადგენლობები**

კასილიასი, სალგადო, პავონი, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, კამბიასო, მაკელელე, ზიდანი, რაული, რონალდო

ლემანი, მეცელდერი, ვიორნსი, მადუნი, დედე, ევანილსონი, როიტერი, ფრინგსი, როსიცკი, კოლერი, ამოროზო

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

დისკვალიფიცირებულნი: *რეალი:* არავინ; *დორტმუნდი:* არავინ

### მილანი — ლოკომოტივი

**სავარაუდო შემადგენლობები**

დიდა, შიმიჩი, ნესტა, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო, პირლო, სერჟინიო (ან ზეედორფი), რუი კოშტა, რივალდო, ინძაგი

ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეხეტო, იგნაშევიჩი, პაშინინი, სენიკოვი, ობრადოვიჩი, მამინოვი, ლოსკოვი, პიმენოვი, ჟულიო სეზარი

მილანი. „სან სირო". მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

დისკვალიფიცირებულნი: *მილანი:* არავინ; *ლოკომოტივი:* ვადიმ ევსეევი (1 მატჩი)

## დამჯერი კარლო ბიჭები სტადიონზე

**ჩოკოში** გამოზამთრებული „ლოკომოტივი" სერიოზულად ემზადება ძიად მეტოქესთან შესარკინებლად. რუსული გაზეთები რუსეთის ჩემპიონებს წამლაუწუმ აქეზებენ, გაიხსენეთ „რეალი", „სანტიაგო ბერნაბეუზე" 2:2 და ნურაფრის გეშინიათო.

მწვრთნელი იური სიომინი კი შეფიქრიანებულია: „ფაქტია, უძნელესი მატჩი გველის. სათამაშო პრაქტიკა გვაკლია, კარგი იქნებოდა, აქამდე ორ-სამ სერიოზულ მეტოქეს გავეჯიბრებოდით. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ".

რუსები ორ ფეხბურთელს ნაღდად მოისაკლისებენ — განაპირა ნახევარმცველი ვადიმ ევსეევი დისკვალიფიცირებულია, ნიგერიელი თავდამსხმელი ჯეიმს ობიორა შეკრებაზე მიღებული ტრავმისგან ჯერაც ვერ მოკეთებულა. საეჭვოა, რუსეთის 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელ მარატ იზმაილოვის თამაშიც. მცველ სერგეი იგნაშევიჩს მცირე ტრავმის გამო წინა კვირაში რამდენიმე ვარჯიში კი გაუცდენია, მაგრამ სიომინი დღეს მას თავიდანვე სასტარტო შემადგენლობაში გამწესებს. ევსეევის ადგილზე კი სერბ მილან ობრადოვიჩის გამოჩენას უნდა ველოდოთ.

და რა ხდება „მილანში"? როგორც ჩანს, კარლო ანჩელოტიმ სილვიო ბერლუსკონის უკმაყოფილება ყურად იღო და დღეს ორი თავდამსხმელით აპირებს თამაშს. ბერლუსკონი ვინც არის და რა წონის სიტყვაც ექნის, ამაზე ახლა არ შევჩერდებით. მოკლედ, „ლოკომოტივს" ფილიპო ინძაგი და ბრაზილიელი რივალდო შეუტევენ. მათ უკან პორტუგალიელი რუი კოშტა გამწესდება და ფორვარდების პასებით მომარაგება დაევალება.

ანჩელოტი ტვინს იჭყლეტს, მარცხენა ნახევარმცველად ვინ გაამწესოს — ტრავმისგან მომჯობინებული „რაკეტა" სერჟინიო თუ ნაცადი ზეედორფი. ეგაა, სერჟინიოს სათამაშო პრაქტიკა აკლია.

გადაწყვეტილი ამბავია, ვერ ითამაშებს ანდრეი შევჩენკო. უკრაინელ სუპერვარსკვლავს „ლაციოსთან" კვირის მატჩის შემდეგ ბარძაყის კუნთი ასტკივებია და არც უვარჯიშია. „საშიში არაფერია, ტრავმა სერიოზული არაა, მაგრამ ვერ გავრისკავთ. შევჩენკო თავად მთხოვდა, განაცხადში შემიყვანე და ვითამაშებო, თუმც უარი ვუთხარი. სჯობს დაისვენოს და ძალები აღიდგინოს" — ამბობს ანჩელოტი.

და ჩვენთვის მთავარი. როგორც სავარაუდო შემადგენლობიდან ირკვევა, „მილანის" დაცვის მარცხენა ფლანგს ქართველი კახა კალაძე ვერ გაამაგრებს. ჩვენებურმა „ლაციოსთან" მატჩში, თუ გახსოვთ, სტეფანო ფიორესთან შეჯახებისას ტრავმა მიიღო და ანჩელოტიმ იგი მეორე ტაიმში ლაურსენით შეცვალა. „სერიოზული არაფერია, კალაძე ჯანზეა და „ლოკომოტივთან" მატჩს სრულ მზადყოფნაში ხვდება" — კი თქვა „მილანის" ფიზმომზადების მწვრთნელმა დანიელე ტონიაჩინიმ.

ჯგუფის მეორე მატჩის ანონსი კი ძველი ამბის გახსენებით დავიწყოთ. 1998 წლის გაზაფხულზე ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში მადრიდის „რეალი" დორტმუნდის „ბორუსიას" „სანტიაგო ბერნაბეუზე" დაუხვდა. დაუხვდა, როგორც წესი, მოედანზე ორი კარით. ერთ-ერთის უკან მსხდომმა გულშემატკივრებმა იმდენი მოახერხეს, რომ ბადეშემოხვეული რკინის ნაჭერი მატჩის დაწყებამდე დაამტვრიეს და გამოუსადეგარი გახადეს. სტადიონის მომსახურე პერსონალმა სათადარიგო კარის მიებას თითქმის ორი საათი მოანდომა. დაგვიანებით დაწყებული მატჩი „რეალმა" მოიგო და ჩემპიონთა თასის მაშინდელი მფლობელი „ბორუსია" გზიდან ჩამოიშორა, მერე კი თვითონ გაიმარჯვა ფინალში.

„რეალი" ჯგუფში მისთვის უჩვეულო ადგილზეა, პრიმერადივიზიონში კი ხელიხელ მოგებულ მატჩებს „რეალმა" „ესპანიოლთან" ფრე და პამპლონაში მარცხი მიაყოლა. მიუხედავად ამისა, რონალდო დარწმუნებულია, რომ გუნდი „დორტმუნდსაც" სძლევს და ჯგუფიდანაც გააღწევს: „ოსასუნა" უნდა დავივიწყოთ — თქვა რონალდომ — ბოლო წაგება ჩვენზე გავლენას ვერ მოახდენს. კარგად მახსოვს, „რეალი" გადამწყვეტ მატჩებში ყოველთვის ისე თამაშობდა, როგორც მის სახელს ეკადრება".

ვისენტე დელ ბოსკეს ფერნანდო იერო არ ეყოლება, რომელსაც მარცხენა მუხლის მყესები დაუზიანდა და ჯგუფურ ეტაპზე მისი თამაში თითქმის გამორიცხულია. იეროს ნაცვლად ულვაშა მწვრთნელმა შესაძლოა ფრანსისკო პავონი ათამაშოს და ივან ელგერას შეუწყვილოს. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მწვრთნელი უშუალოდ მატჩის წინ მიიღებს.

გულზე მოსულა „დორტმუნდი", რომელმაც ბუნდესლიგის გასულ ტურში „ბოხუმი" 4:1-ზე დაამარცხა და მადრიდში კარგ ხასიათზე ჩავიდა. „ბოხუმთან" თავი გამოიჩინა ჩეხმა იან კოლერმა. მან სამი საგოლე მომენტის შექმნაში გაურია ფეხი, ოთხიდან ორი კი ტორსტენ ფრინგსმა გაიტანა.

აქილევსის მყესი მოურჩა „ბორუსიას" ჩეხ გამთამაშებელ ტომაშ როსიცკის და შეიძლება, გუნდს ისიც დაეხმაროს.

მათიას ზამერი კონტრშეტევებზე თამაშს გეგმავს: „ჩემი გუნდი კარგ ფორმაშია. ჩვენ „რეალის" ვარსკვლავთა ყურება არას გვარგებს. უნდა შევუზღუდოთ სივრცეები და მთავარი კოზირი, კონტრშეტევა, ეფექტურად გამოვიყენოთ. ვფიქრობ, დღეს „ბორუსიას" გაგიყება ძალუძს, თავი თუ არ გავიგიჟეთ, „რეალს" ვერ დავამარცხებთ".



ტომაშ როსიცკი „სანტიაგო ბერნაბეუს" მყესმორჩენილი ეწვევა

**გიორგი ვაშაკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| რეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

## D ჯგუფი

### მანჩესტერი — იუვენტუსი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბარტეზი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი, ბექემი (ან ბათი), სოლსკიაერი, კინი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი

კიმენტი, ტურამი, ფერარა, მონტერო, პესოტო, კამორანეზი, კონტე, დავიდსი, ნედვედი, ტრეზეგე, ზალაიეტა

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

დისკვალიფიცირებულნი: *მანჩესტერი:* ხუან სებასტიან ვერონი (1 მატჩი); *იუვენტუსი:* არავინ

### ბაზელი — დეპორტივო

**სავარაუდო შემადგენლობები**

ცუბერბიულერი, ჰაასი, მ. იაკინი, ცვისიგი, ატუბა, კანტალუპი, ჩიპერფილდი, ბარბერისი, ჰ. იაკინი, როსი, ხიმენესი

ხუანმი, რომერო, ნაიბეტი, დონატო, ექტორი, სკალონი, დუშერი, სერხიო, ამავისკა, ტრისტანი, მაკაი

ბაზელი. „სენტ იაკობი". მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

დისკვალიფიცირებულნი: *ბაზელი:* არავინ; *დეპორტივო:* არავინ

## მიაქიმე, მოდი სანახავადა

**არ ერჩივნათ** დოლბანდები შეებათ? ჯანლუიჯი ბუფონი, ალესანდრო ბირინდელი, ჯანლუკა ძამბროტა, მარკო დი ვაიო, მარსელო სალასი და მარკ იულიანო წვანან, ახლა საწოლებში და „დედა, ლიმნიანი ჩაი მომიტანე"-ს გაიძახიან.

მოგეხსენებათ, რა ცუდი გრიპი დადის ალმადალმა. ხოლო, ალესანდრო დელ პიერო, რომ „ვაი, ფეხის" იძახის, უკვე კარგა ხნის ცნობილი ამბავია. ერთი სიტყვით, „იუვენტუსის" მწვრთნელს, მარჩელო ლიპის, ვინც დარჩა, იმათ იმედად უნდა დაუპირისპირდეს მანჩესტერში „იუნაიტედს".





მარსელო სალასი, ალესიო ტაკინარდი, ალესანდრო დელ პიერო და მარკო დი ვაიო ლოგინში წვანან და ვაი, დედას იძახიან

მანჩესტერელთა ბანაკში კი თავს იმტვრევენ — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დიახ, დევიდ ბექემზე ვლაპარაკობთ, შაბათს, ფეხბურთის ასოციაციის თასზე „არსენალთან" შეხვედრაში რომ დაშავდა, გასახდელში შესულს კი წაგებით (0:2) განრისხებული მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონის მოქნეული ბუცი მოხვდა თავში. თუ ბექემი არ იქნება (ფეხის, თავის თუ გულისტკივილის გამო) მოედანზე ნიკი ბათს ვიხილავთ. ნორვეგიელი თავდამსხმელი ოლე გუნარ სოლსკიაერი კი მარჯვენა ფრთაზე გადაინაცვლებს.

დისკვალიფიცირებულია ხუან სებასტიან ვერონი, რომელიც ნატკენი ფეხის თითის დასვენებას მოახერხებს, ფრანგი მცველი ლორან ბლანი კი დაშავებულია. რაც შეეხება სამხრეთაფრიკელ ნახევარმცველს, კვინტონ ფორჩუნს, მას, მოგეხსენებათ, ფეხი ჰქონდა მოტეხილი და მართალია შეუხორცდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობამდე ბევრი აქვს სავარჯიშო.

D ჯგუფის მეორე თამაში ბაზელშია. „ბაზელი" „დეპორტივოს" მასპინძლობს.

შვეიცარიელებს არ ეყოლებათ ანტონიო ესპოზიტო და ივან ერგიჩი — ისინი იანვარში, თურქეთში, საწვრთნელ შეკრებაზე დაშავდნენ და მაშინვე გამოეთიშნენ გუნდს, იქიდანვე აიკრიფეს გუდანაბადი. 30 წლის ესპოზიტოს ერთბაშად ორი ადგილი სტკივა და ერთზე ოპერაციაც გაიკეთა, ხოლო ერგიჩმა დეკემბერში გაკეთებული ოპერაციის კუდები ვერ მოიშორა — თურქეთშიც ნაოპერაციები ადგილი ატკივდა.

მუხლი სტკიოდა მცველ მურატ იაკინსაც, მაგრამ გამოჯანმრთელების პირი გამოუჩნდა — შაბათს, „ციურიხთან" ამხანაგურ შეხვედრაში მან ერთი ტაიმი გაძლო ან, სულაც, შეიძლება მეორე ტაიმს ტრავმის გამიზეზების შიშით აარიდა თავი. თუ გაინტერესებთ, იმასაც გეტყვით, რომ „ბაზელმა" „ციურიხთან" 0:3 წააგო. გუნდს დაუბრუნდა ავსტრალიელი ნახევარმცველი სკოტ ჩიპერფილდიც, რომელსაც შემოდგომაზე საერთოდ არ უთამაშია.

„დეპორტივოს" კი მაურო სილვა არ ეყოლება. ვინც ამ გუნდის თამაშს იცნობს, დაგვეთანხმებით, მაურო სილვას არყოფნა ესპანელთათვის მნიშვნელოვანი დანაკლისია. მას ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. პორტუგალიელი ჟორჟე ანდრადე გამოჯანმრთელდა და, კაცმა რომ თქვა, შეიძლება ითამაშოს კიდეც. მაგრამ არ არის გამორიცხული, მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ დაცვის ცენტრში მაინც გამოცდილი დონატოსა და ნურედინ ნაიბეტის წყვილი ამჯობინოს.

რაც შეეხება მეკარეს, „დეპორტივოს" კარში კვლავ ხუანმი იდგება, რადგან ხოსე ფრანსისკო მოლინა, რომელიც სათესლე ჯირკვლების სიმსივნეს მკურნალობდა, მართალია გამოჯანმრთელდა და ვარჯიშს შეუდგა, მაგრამ ჯერ ფორმაში არ არის.

**პაპუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ბაზელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |



ხოსეპ გვარდიოლა 20 წლის იყო, ჩემპიონთა თასი რომ აღმართა

# მშვიდად!

## ხოსეპ გვარდიოლამ არჩევნები დაიწუნა

*ხოსეპ გვარდიოლას, ბოლო ხანია, საფეხბურთო ცხოვრება აენენა. „ბრეშა", „რომა", ისევ „ბრეშა", ერთი სიტყვით, „ბარსელონადან" წასვლის შემდეგ გვარდიოლა უფრო მეტს მოგზაურობს, ვიდრე თამაშობს.*

*მაგრამ რა გასაკვირია, რომ მას ცალი თვალი და ყური იმ კლუბისკენ ჰქონდეს მიპყრობილი, რომლის დიდი კაპიტანიც გახლდათ და რომელზეც იტალიიდანაც ეთქმის სიტყვა.*

*ამას წინათ, „ბარსელონას" დღევანდელ ყოფაზე რივალდომ ილაპარაკა, ახლა ხოსეპ გვარდიოლას აზრი მოვისმინოთ.*

— რას ფიქრობთ, როცა უყურებთ, თუ რა ხდება დღეს „ბარსელონაში"?

— ვფიქრობ, შემთხვევით არაფერი ხდება და კრიზისს ღრმა საფუძველი აქვს. თუმცა „ბარსას" საქმარისი პოტენციალი გააჩნია მყვლი დღეების დასაბრუნებლად. ისე კი, ზუსტი ანალიზის გაკეთება კლუბის ხელმძღვანელობის საქმეა, სხვა რომ არაფერი, მე ორი წელია, წასული ვარ.

— რას განიცდით, როცა „ბარსელონას" ასეთ მდგომარეობაში ხედავთ?

— ცხადია, გული მტკივა. მაგრამ ამასთანავე მიმაჩნია, რომ ყოველ ორ-სამ წელიწადში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება საჭირო არ არის. ხელმძღვანელობა, შეცდომების და შედეგების მიუხედავად, სრული ვადით უნდა მუშაობდეს. შეუძლებელია, გუნდი ყოველწლიურად იცვლიდეს ტიტულებს და კლუბი ამას მშვიდად უნდა ხვდებოდეს. ვადამდელი არჩევნები დაძაბულობას ქმნის, რაც დადებით შედეგს არ იძლევა.

— „ბარსელონა" ცხრილში იმ ადგილზეა, რომელსაც იმსახურებს?

— ვფიქრობ, არა. „ბარსას" ფეხბურთელებს ჩემზე უკეთ ვინ იცნობს და დარწმუნებული ვარ, გუნდი, რომელსაც ასეთი შემადგენლობა ჰყავს, ცხრილში ბევრად მაღლა უნდა იყოს. ჩემპიონთა ლიგაში კი ყველაფერი კანონზომიერადაა, იქ „ბარსა" თავისი დონის შესაფერის ფეხბურთს თამაშობს.

— რა არის საჭირო იმისთვის, რომ კრიზისული სიტუაცია აღარ განმეორდეს?

— ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. უკვე გითხარით, რომ კრიზისი უეცრად არ იქმნება და თუ თავდაპირველ მიზეზებს დროულად აღმოვაჩენთ, კრიზისსაც ავიცილებთ.

— **ხომ არ გეშინიათ, რომ გუნდი სეგუნდადივიზიონში აღმოჩნდება?**

— თეორიულად ყველაფერი შეიძლება მოხდეს, რადგან ამ მომენტისთვის „ბარსელონა" ბოლო ადგილთან უფრო ახლოსაა, ვიდრე პირველთან. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდება. ახალ მწვრთნელს და ფეხბურთელებს საკმაო კვალიფიკაცია აქვთ, ამგვარი დასასრულის თავიდან ასაცილებლად.

— **ყველაფერში დამნაშავე ხუან გასპარია?**

— რაკი პრეზიდენტი გადადგა, ესე იგი ჩათვალა, რომ კლუბისთვის ასე აჯობებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ წავიდოდა? მან ასევე თქვა, რომ თავს დამნაშავედ გრძნობდა, ამიტომ ამ კითხვით სჯობს, მას მივმართოთ. თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ 25 წლის მანძილზე გასპარი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო კლუბში და თუ ასეთი ცუდი ხელმძღვანელი იყო, გამოდის, კლუბი მეოთხედი საუკუნის მანძილზე ცდებოდა? არ მგონია, ასე იყოს, გასპარს „ბარსელონას" წინაშე უამრავი დამსახურება აქვს.

— **როგორც პროფესიონალ ფეხბურთელს გეკითხებით, ხელმძღვანელობაში პრობლემები მოთამაშეებზე გავლენას ახდენს?**

— რა საკვირველია, ეგრეა. კლუბი ხომ ერთი მთლიანი ორგანიზმია. როგორ შეიძლება, ფეხბურთელს ეს ამბები გულთან არ მიჰქონდეს, რაც საბოლოოდ მის თამაშსაც დაეტყობა. ამიტომ ვამბობ, რომ ნებისმიერი პრობლემა კლუბის ხელმძღვანელობამ მშვიდ გარემოში უნდა მოაგვაროს, რადიკალური გადაწყვეტილებები კი სიმშვიდეს ვერ შექმნის.

— **ესე იგი, მთავარი სიმშვიდეა?**

— მთავარი მატჩების მოგებაა, რასაც ხელს მშვიდ გარემოში მუშაობა უწყობს.

— **ხალხი ფიქრობს, რომ არსებულ კრიზისში ფეხბურთელებიც დამნაშავეები არიან...**

— ადამიანები იმასაც ამბობენ, ფეხბურთელებს რომ აქვთ, იმხელა ხელფასები რომ გვქონდეს, ნახეთ, რას ვიზამდითო. ასე ლაპარაკი არ შეიძლება. თავად უნდა იყო ფეხბურთელი, რომ შეიგრძნო, ყველაფერი ასე მარტივად რომ არ არის.

— **ძველი თანაგუნდელები რას გეუბნებიან?**

— მათ ხშირად ვურეკავ და ისინიც მირეკავენ. ყველას კარგად ესმის, რომ მძიმე სიტუაციაში არიან.

# წამებული ნაძირალა

## ხესუს ხილს ქუდზე კაცი მუდამ მზად ჰყავს



**ხესუს ხილი** ხილის დარი კაცი მთელ ესპანეთში ალბათ მეორე არ დაიარება. ეპითეტთა დიაპაზონი, რომლითაც ხალხი „ატლეტიკოს" გიჟმაჟ პრეზიდენტს მოიხსენიებს, „ნაძირალადან" „წამებულამდე" მერყეობს, ხოლო სახელმწიფო ათწლეულების მანძილზე მას უშედეგოდ ებრძვის.

წინა პარასკევს, უკვე ვწერდით, სასამართლომ ხილს 15 მილიონი დოლარის ოდენობის საზოგადოებრივი სახსრების გაფლანგვა დაუმტკიცა და საშახევარი წლით ციხეში ჯდომა მიუსაჯა. მშრალად ვერც მისი შვილი, მიგელ ანხელ ხილი და „ატლეტიკოს" ვიცე-პრეზიდენტი ენრიკე სერესო გამოძვრნენ, რომლებსაც შესაბამისად წელიწადნახევარი და ერთი წელი მიუსაჯეს. ამ ორის დანაშაული ის არის, რომ ოთხ მოყვარულ აფრიკელ ფეხბურთელს საბუთების გაყალბებაში დაეხმარნენ.

გარდა ამისა, გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ კლუბის რეალური პასივი (ბუღალტრები ტერმინოლოგიაში უკეთ გაერკვევიან) ბევრად აღემატება ესპანური კანონმდებლობით დაშვებულ ზღვარს, რომელიც დახურული ტიპის სპორტული საზოგადოებებისთვისაა დაწესებული, „ატლეტიკო" კი იურიდიულად სწორედ ამგვარ საზოგადოებას წარმოადგენს. უფრო მარტივი ენით რომ ვთქვათ, კლუბს ბიუჯეტში გვარიანი გარღვევა აქვს.

დეფიციტის აღმოსაფხვრელად სასამართლომ ხესუს ხილს და ენრიკე სერესოს მათი კუთვნილი აქციების კლუბის ადმინისტრაციული საბჭოსთვის გადაცემა მოსთხოვა. შემდეგ ამ აქიებს გაყიდიან და მიღებული ფულით დეფიციტს შეავსებენ. აქვე აღვნიშნოთ, რომ ხილის და სერესოს ხელში კუბის აქციათა საერთო რაოდენობის 94,5 პროცენტია, ხოლო ადმინისტრაციულ საბჭოში, დანარჩენი წვრილი აქციონერები შედიან. ისე, ეს წვრილი აქციონერებიც ხილის ნათესავები არიან.

მაგრამ აქციების ჩამორთმევის მიუხედავად, ხილის „ატლეტიკოს" პრეზიდენტობიდან გადაყენება რეალურად შეუძლებლად მოჩანს. საამისოდ ორი გზა არსებობს: იმპიჩმენტი, რაზეც მისი ნათესავები არ წავლენ და გადადგომა, რისი გაკეთებაც ხილს აზრად არასდროს მოუვა. ჰო, ხილს აქციები კი ჩამოართვეს, მაგრამ ამ აქციათა ხელახლა ყიდვა მისთვის არავის აუკრძალავს. და კიდევ, „ატლეტიკო" ძველებურად განაგრძობს ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვას, ნებისმიერი ფინანსური ოპერაციის წარმოებას და კლუბის გაკოტრებასა თუ რეორგანიზაციაზე ლაპარაკი არ არის.

ფაქტობრივად, ყველაფერი ძველებურად რჩება. ხილი ალბათ ციხეში ჩაჯდომასაც აიცილებს, როგორც ეს არაერთხელ მოუხერხებია, რადგან მან უკვე გააპროტესტა სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში, ხოლო ეს ზემდგომი სასამართლო მასალების ხელახლა შესწავლას, სულ მცირე, ორ წელიწადს მოანდომებს. თუ ხილი ზემდგომმაც დამნაშავედ სცნო, კიდევ სადმე გააპროტესტებს, პროცესი კიდევ რამდენიმე წლით გაიჭიმება და ბოლოს და ბოლოს, ხესუს ხილი უკვდავი ხომ არ არის, 69 წლისაა და ახლახან გულის ოპერაციაც გაიკეთა...

ხილის სასამართლო პროცესები ცალკე საუბრის თემაა და მათ მხოლოდ ჩამოთვლას საგაზეთო გვერდი არ ეყოფა. საერთო ჯამში მის წინააღმდეგ, სხვადასხვა დროს, ოთხმოცამდე ბრალდება წაუყენებიათ. მაგრამ მუდმივად სასამართლოში ხეტიალის მიუხედავად, ხილი სულ ორჯერ მოხვდა გისოსებს მიღმა და ორჯერვე მალევე დაიძვრინა თავი.

პირველად ხილი 1969 წელს დაიჭირეს. ქალაქ სან რაფაელში მისი კომპანიის მიერ აშენებული რესტორნის სახურავი მაშინ ჩამოინგრა, როცა იქ სამასზე მეტი ადამიანი სადილობდა. ნანგრევებში 58 კაცი დაიღუპა. ხილი დამნაშავედ სცნეს და ხუთი წელი მიუსაჯეს. წელიწადნახევრის მერე კი გენერალისიმუსმა ფრანკომ საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა და ხილმაც სუფთა ჰაერი ჩაყლაპა.

1994 წელს ხესუს ხილმა, უკვე საკურორტო ქალაქ მარბელას მერმა, ქალაქის რეკონსტრუქციის მოტივით, ყოფილი მერის სახლი დაანგრია.

ყოფილმა მერმა, ცხადია, იჩივლა. სასამართლო ხილისთვის სახელმწიფო პოსტზე მუშაობის სამუდამო აკრძალვას ცდილობდა, მაგრამ ხილი როგორღაც გამოძვრა.

1999 წელს ხილი მარბელას ბიუჯეტიდან 3,2 მილიონი დოლარის „ატლეტიკოს" ბიუჯეტში უკანონოდ გადარიცხვაში ამხილეს. გამოძიების მსვლელობისას ის მალაგის ციხეში იჯდა, მაგრამ ხილის დაარსებულმა პარტიამ GIL-მა („დამოუკიდებელი ლიბერალური ჯგუფი") მომხრეები დამოძღვრა, მარბელაში, მალაგასა და მადრიდში დემონსტრაციები მოაწყო და სასამართლომაც ხილი თავდებით გაუშვა.

მოკლედ, ასეა... ხილი კი ემზადება — 12 მარტს 70 წლის იუბილე აქვს გადასახდელი, 26 აპრილს კი „ატლეტიკო" საუკუნისა ხდება. აბა, ხილს ციხეში საჯდომად სცალია?

**გიორგი დარჯანია**



# სიყვარულის მარადიული ზღაპარი

**წინა კვირაში** იყო, რონალდოსა და ვისენტე დელ ბოსკეს შორის შავმა კატამ რომ გაირბინა და ზედ „არსენალი" ეწერა. თითქოს რონალდოს თვალი ლონდონისკენ ეჭირა, თოფი უნდა ავიღო, თუ მადრიდში პრობლემები მომემატებაო. რონალდოს პრობლემები შეიძლება აქვს კიდეც „რეალის" მწვრთნელთან, სამაგიეროდ, ზინედინ ზიდანისთვის დაუდგამს თვალი და აი, რა თქვა: „ვარჯიშზე ზიდანს ყოველდღე ვხვდები. რაც უფრო დიდხანს ვართ ერთად, მით უფრო მეტს ვიგებთ ერთმანეთის შესახებ. მგონი, შემიყვარდა კიდეც".

ეს რომ რონალდოს მეუღლემ, მილენ დომინგუშმა შეიტყო, ჩაზიარება მოიწადინა: „ზიზუს საყვარლობაზე უარს არც მე ვიტყოდი — სიცილით თქვა მილენმა — ის ხომ გენიალური ფეხბურთელია. ზიდანი ფეხით კი არა, ტვინით თამაშობს. შეიძლება პირი დაალოთ, მაგრამ არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, ვისურვებდი, ზიდანს დავმსგავსებოდი და არა რონალდოს. ფრანგის სტილი გაცილებით ელეგანტურია. როგორც ქალს, ძალიან მიზიდავს".

მილენ დომიგუშმა გუდას პირი ქალურად მოხსნა და ახალ-ახალ ჭორებსაც, თითქოს რონალდოს შორდება და კლარენს ზეედორფს ეკურკურებაო, კომენტარი გაუკეთა: უკვე სამი წელია, ერთად ვცხოვრობთ. ამ ხნის მანძილზე არაერთხელ სცადეს ჩემი და რონალდოს დაშორება. ჯერ კიდევ ორი წლის წინ ხუთჯერ მოვისმინე ვილაცის მონაჩმახი ჩვენი გაყრის შესახებ. ეს კი არა, ვიღაც ქალი აღმოაჩინეს, რომელიც თურმე რონალდოსგან ფეხმძიმედ ყოფილა. არადა, იგივე ქალბატონი მანამდე, ექვსი თვით ადრე, გაიძახოდა, რივალდოსგან შვილს ველოდებიო. არ გამიკვირდება, მანვე ცოტა ხანში რომ თქვას, რობერტო კარლოსი ჩემი მომავალი შვილის მამააო.

**ვაჟა ხუციშვილი**





ალექს ფერგიუსონს ტელეფონით სარგებლობა ათას გირვანქად დაუჯდა და დევიდ ბექჰემისთვის ბოდიშის მოხდა დაავიწყდა

# ბუცი, ჩაი და მობილური

## ბოდიში, თქვენ გელით ფერგიუსონი

თუ „მანჩესტერ იუნაიტედმა" ტურინელებთან დღევანდელ მატჩშიც ისეთივე „წარმატებით" ითამაშა, როგორც შაბათს „არსენალთან", ეს ჩვენი რაინდი კაცი ანუ სერ ალექს ფერგიუსონი მთლად დასაბმელი გახდება.

გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ, თუ როგორ აღმოჩნდა 61 წლის ფერგიუსონის მიერ ნასროლი ბუცი 27 წლის დევიდ ბექჰემის თავზე, რის გამოც დევიდის წარბი ორი ნაკერით დამშვენდა. პროგნოზები გამართლდა და ამ ფაქტით ყველაზე მეტად მისის ბექჰემი, 28 წლის ვიქტორია აღშფოთდა, თუმცა მეუღლემ მალე დააწყნარა.

არადა, როგორც ახლა ირკვევა, თავად დაზარალებულის პირველი რეაქცია აღმზრდელისთვის სათანადო პასუხის გაცემა იყო: „ამის დედაც, მთელი თავი სისხლში მაქვს — იღრიალა ბექჰემმა და წამოხტა, მაგრამ წინ ორი თანაგუნდელი გადაეღობა. „მიხედეთ ამ კარგმოტ...ულს" — ჩვენებურად დაახლოებით ასე ჟღერს ის, რაც სერ ალექსმა უთხრა იქვე მდგომ ფიზიოთერაპევტს. ცოტა ხანში მაიკ სტოუნმა ბექჰემს ორი ნაკერი დაადო და ესეც „ოლდ ტრაფორდს" გაეცალა.

„რაც გასახდელში ხდება, იქვე რჩება" — განაცხადა მოგვიანებით ბუცისროლია მწვრთნელმა და მართალია, ბოდიში არ მოუხდია, ტელემაყურებლებს დაპირდა, რომ „მსგავსი აღარასდროს განმეორდება".

ინციდენტის მეორე დღეს, ფანთა გასახარად, დევიდ ბექჰემი თავის ცხრიდან ერთ-ერთ მანქანას შემოაჯდა და ვარჯიშზე დროულად გამოცხადდა, თუმცა იმავ შაბათს მიღებული ტრავმის (არა თავის, ფეხის) გამო სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშა. ამის მიუხედავად, დღეს „იუვენტუსთან" მისი გამოჩენა გამორიცხული სულაც არაა.

რაც შეეხება გასახდელში მომხდარ ამბავს, გუშინ ამის თაობაზე არც ფერგიუსონს უთქვამს რამე და არც ბექჰემს. სამაგიეროდ, პრესა აივსო „იუნაიტედის" ყოფილი მწვრთნელებისა და მოთამაშეების კომენტარებით. [illegible] პერტიმ, წლების მანძილზე რომ თავკაცობდა გუნდს, თქვა, რომ სერ ალექსი ნამეტანი ემოციური იყო ფეხბურთელობისას და ახლაც უჭირს ნერვების მოთოკვა. კლუბის ექს-თავდამსხმელმა პიტერ დევენპორტმა კი გაიხსენა, რომ ერთხელ, შესვენებისას, ფერგიუსონმა მას და გორდონ სტრაჩანს ჩაი შეასხა: „ის დღე გუშინდელივით მახსოვს. რით დამთავრდა ის ამბავი? მეორე ტაიმში გაცილებით უკეთ ვითამაშეთ".

მოკლედ, სერ ალექსი თურმე არც არასდროს ყოფილა თავაზიანობის განსახიერება (სიტყვა „ბოდიშს" ყველაზე ნაკლებად უნდა ელოდოთ მისგან, ესეც ითქვა), ვენგერთან მარცხმა კი მთლად გააგიჟა. ამიტომაც იყო, ბექჰემთან კონფლიქტის მეორე დღეს კიდევ ერთ ხათაბალაში რომ გაეხვა — მანჩესტერელმა პოლიციელებმა დააფიქსირეს, რომ საკუთარი შავი „მერსედესის" საჭესთან მჯდომი მწვრთნელი მობილურით ჩვენებურად (ანუ ტელეფონი ხელით ეჭირა და ე.წ. „ჰენდფრითი" არ სარგებლობდა) საუბრობდა, რაც ბრიტანეთის კანონმორჩილ კუნძულზე 1000-გირვანქიან ჯარიმას ითვალისწინებს. ცხადია, ეს თანხა ერთ-ერთი უმდიდრესი მწვრთნელის ჯიბეს ოდნავადაც ვერ შეათხელებს, მაგრამ მის ნერვებს პოლიციიდან მისული ქვითარიღა აკლდა?

**გიგა კოზახიძე**



ტოკიოში საითაც გაიხედავთ, ბექჰემი და სპაის-ვიქტორია გიყურებენ

# იაპონია შუბლს გადაიხსნის?

## თქვენ დაგიცავთ ოლივერ კანი

**მსოფლიოს** ჩემპიონატი კარგა ხნის წინ დასრულდა, მაგრამ იაპონიას ტკბილი მოგონებების გარდა ზოგი ფეხბურთელის სიფათი მაინც შემორჩა. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ არაერთმა ფირმამ საკუთარი პროდუქციის რეკლამისთვის დიდძალი ფული გადაიხადა და ამ საქმეში ცნობილი ფეხბურთელები გარია.

მაგალითად, იაპონიის რამდენიმე ქალაქის ქუჩებში ფართო სარეკლამო ეკრანებზე ხშირად გაიელვებს ხოლმე ოლივერ კანი, რომელიც „ბრიჯსტოუნის" საბურავებს აქებს. კანს მხარზე პატარა გოგო უზის და თავისი ვეება ტანით მიიზლაზნება. როგორც კომპანიის წარმომადგენელმა თქვა: „გვსურს, მყიდველს ვაჩვენოთ, რომ ჩვენი ფირმის საბურავებით სიარული მათ ოჯახს და ავტომობილს საიმედოდ იცავს, ანუ ისე, როგორც კანი „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების კარს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ფინალურ მატჩში რივალდოს დარტყმული ოლივერ კანმა ვერ დაიჭირა." „ბრიჯსტოუნის" წარმომადგენლის აზრით, ვერდაჭერილმა ბურთმა გერმანელი მეკარე კიდევ უფრო პოპულარული გახადა.

ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს თურქი ფორვარდი ილჰან მანსიზი და რამდენიმე სარეკლამო კონტრაქტი იაპონურმა ფირმებმა მასთანაც გააფორმეს. იაპონელი გოგოები კი, მანამდე რომ არაფერი იცოდნენ „ბეშიქთაშის" შესახებ, სტამბოლური გუნდის მატჩებს მანსიზის ხათრით უყურებენ.

და მაინც, ვისი თავ-პირი ჩანს უფრო ხშირად იაპონიაში? რა თქმა უნდა, დევიდ ბექჰემის. მისი სახე იყურება „ვოდაფოუნის", შოკოლად „მეიჯი სი"-ს და ტოკიოს არაერთ სილამაზის სალონის სარეკლამო ფარებიდან. იაპონელები მშვიდად ჩერდებიან ბექჰემის გამოსახულებასთან და წარამარა ფოტოაპარატებს აჩხაკუნებენ. მერე ტკბებიან იმ სურათებით, რომელზეც თავად იკრიჭებიან, ზურგსუკან კი დევიდის სიფათი მოჩანს. განსაკუთრებულად კარგად სადდება TOKYO BEAUTY CLINIC-ის ფირმის ნელსაცხებელი. „თუ გინდათ, რომ ისეთი ნაზი და ფუმფულა კანი გქონდეთ, როგორიც ბექჰემს აქვს, შეიძინეთ ჩვენი პროდუქცია" — აი, ასეთია რეკლამის შინაარსი, მაგრამ ახლა დევიდ ბექჰემის ნაზ და ფუმფულა კანზე ორი ნაკერი გაჩნდა და ეგებ იაპონელებმა ფერგიუსონსაც შესთავაზონ იმ ბუცების რეკლამაში გადაღება, რომლითაც მან ფეხბურთელს შუბლი გადაუხსნა.

**რომან თურქია**

# სერ ბობი

## რობსონს მარადონას ხელი ელანდება



**გუშინ** სერ ბობი რობსონს 70 წელი შეუსრულდა, აქედან 54 ფეხბურთს შესწირა. იგი საფეხბურთო სამყაროში სახელმოხვეჭილი კაცია.

თავის დროზე ინგლისის ნაკრებშიც უთამაშია, „ფულემისა" და „ვესტ ბრომვიჩის" ღირსებაც დაუცავს. მწვრთნელობისას ნაკრებს მსოფლიოს ორ ჩემპიონატზე გაუძღვა. 1978 წელს მისი თავკაცობით „იფსვიჩმა" ინგლისის თასი მოიგო, 1981-ში კი უეფას თასი აღმართა. გარდა ამისა, ორჯერ ძალიან ახლოს იყო ინგლისის ჩემპიონობასთან.

1982-ში იგი ნაკრებს ჩაუდგა სათავეში და რვა წელიწადი ემსახურა. 1986 წელს მექსიკაში დიეგო მარადონას ხელმა რობსონის გუნდი მეოთხედფინალიდან დაითხოვა. „ის მატჩი არასოდეს დამავიწყდება — თქვა იუბილარმა — დასანანია, რომ მარადონამ გაგვძარცვა, ამას ვერასოდეს ვაპატიებ, თუმცა ის ფენომენალური ფეხბურთელი იყო, შეიძლება საუკეთესოც ფეხბურთის ისტორიაში".

ასევე მწარედ გაიხსენა რობსონმა 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი, რომელშიც გერმანელებთან პენალტების სერიაში დამარცხდნენ: „ჩვენ უნდა მოგვეგო, რადგან მეტოქე დავჯაბნეთ, თერთმეტმეტრიანები კი უბრალოდ ლატარიაა. თან მაშინ ბრწყინვალე ფორმაში ვიყავით და ფინალში რომ გავსულიყავით, ვფიქრობ, არგენტინას მოვუგებდით".

ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ბობი რობსონმა უცხოეთში გასწია. იგი „პსვ ეინდჰოვენში", „სპორტინგში", „პორტუსა" და „ბარსელონაში" მუშაობდა, სადაც არაერთი ტიტული მოიხვეჭა. 1999 წელს სამშობლოში დაბრუნდა და იმ დროისთვის დაჩაჩანაკებული „ნიუკასლი" ჩაიბარა, გუნდი, რომლის ფანიც თავად იყო ბავშვობაში. „ნიუკასლით" დამთავრდება ჩემი მწვრთნელობაო, თქვა რობსონმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლიგა ქველი

**პრემიერლიგა** ათი წლის მოიყარა. ლიგის ბოსებმა საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საგანგებო ჯილდო დააწესეს. იგი გადაეცემა ფეხბურთელს, რომელიც თავის ქველმოქმედებით ღარიბ-ღატაკებს არაერთხელ შეეწია. გარდა ამისა, ბოსებს სურთ, აჩვენონ, რომ ფეხბურთის თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის ცხოვრებაში. ჯილდოს დამწესებლებს იმ სტერეოტიპის დამსხვრევა განუზრახავთ, თითქოს და ფეხბურთელები ეგოისტები და ძუნწები არიან, ან უბრალოდ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, კაპიკს ვერ გააგდებინებ, მათი ცოლები კი ლობე-ყორეს ედებიან და არ იციან, სად გაფანტონ მილიონები, როცა იქვე ახლოს ვიღაც შიმშილით სულს ღაფავს.

რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაციამ პრემიერლიგის სათანადო კომისიას ჯილდოს მაძიებელთა სია წარუდგინა. მათ შორის არიან: ჯონ ბარნსი, დიონ დაბლინი, ნაილ ქუინი და ლუკას რადებე. პრემიერლიგის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა კეტი ლონგმა ბრძანა, რომ მთავარი ლიგის ბევრი ფეხბურთელი ქველმოქმედებას პირადპირ მოვალეობად თვლის, რადგან რასაცა გასცემ...

**ვაჟა ხუციშვილი**







კლაუს ტოპმიოლერის ნაცვლად რაინერ კალმუნდმა ტომას ჰორსტერს უხმო

# კლაუსს ხეკორძულას წყალი ასვეს

## ლევერკუზენმა თავისი ჭკუით მეწყერი მოიკვეთა

**კლაუს ტოპმიოლერი** ისე მაღიანად ვერ ქანავდა თვალებსა და სიგარეტს, როგორც კრისტოფ დაუმი, მაგრამ მისი „ლევერკუზენი" უფრო საინტერესო გუნდი კი გახლდათ — ახლა 51 წლის ტოპმიოლერი უმუშევარია და რახან კონტრაქტის დასრულებამდე გაუშვეს, კუთვნილ 1,25 მილიონ ევროს მაინც გამორჩება — ეს მისი ექვსი თვის ჯამაგირია.

ტოპმიოლერმა „ლევერკუზენის" მწვრთნელის პოსტზე ბერტი ფოგტსი შეცვალა, მაგრამ ბერტი იმდენად ბერწი იყო, რომ მისი ტოპმიოლერთან შედარება არც კი ღირს — კლაუსი და დაუმი, აი ბატონო.

ლევერკუზენის „ბაიერ 04"-მა ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით ბოლო ხუთი ბუნდესლიგური მატჩი წააგო, ბოლო ცხრა შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო და [illegible] [illegible] [illegible] ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებას შემორჩა, ხოლო გერმანიის თასზე ნახევარფინალში გააღწია.

შაბათს კი „ლევერკუზენმა" შინ „ჰანზასთან" წააგო და კლუბის კომერციულმა მენეჯერმა რაინერ კალმუნდმაც დანაპირები აასრულა — „ტოპი" გუნდიდან ლაიფრინა.

„ჩვენ იმისთვის უნდა გვეღვაწა, რომ ფეხბურთელთა თამაშის ხარისხი მყის გაუმჯობესებულიყო, ადრინდელ კონდიციებამდე ასულიყო. მიუხედავად იმისა, რომ 8 თებერვალს „ბოხუმთან" წავაგეთ, კვლავ გვქონდა მბჟუტავი იმედი. ჩვენი ბოლოდროინდელი წარუმატებლობები მხოლოდ მწვრთნელის ფაქტორით როდი იყო გამოწვეული, მაგრამ ის თამაში, რაც გუნდმა „ჰანზასთან" აჩვენა, ჩვენთვის მეწყერი იყო" — ამგვარად განმარტა გადაწყვეტილება ჩათქვირულმა კალმუნდმა.

მდინარე რეინის ხეობა სალვინე ყურძნითაა განთქმული და პატარა, მაგრამ ფარმაცევტულად დიდი ლევერკუზენი რომ მთელმა ევროპამ გულში ჩაიკრა, შარშანდელი ამბავია — ტოპმიოლერის გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა და გზად დიდი გუნდები ჩამოიცილა.

შარშან „ტოპის" ბიჭები ყველგან მეორენი იყვნენ — ჩემპიონობა „დორტმუნდმა" აწაპნა, გერმანიის თასი „შალკემ" და „ლევერკუზენსაც" „ნევერკუზენი" დაარქვეს — ეს გუნდი პირველი ვერასოდეს გახდებაო.

ტოპმიოლერის ფეხბურთელობის ხანა „კაიზერსლაუტერნში" დაიწრიტა, ხოლო როგორც მწვრთნელი, მეორე ბუნდესლიგის „ბოხუმში" წარმოჩინდა — სწორედ ტოპმიოლერმა წამოიყვანა ილდარაი ბაშთურქი „ბოხუმიდან" „ლევერკუზენში" წინა სეზონისთვის. კლაუსმა „ბაიერ 04" სულ სხვანაირად აათამაშა, „ლევერკუზენი" მართლაც და განსაკუთრებულ, რაღაცნაირ გუნდად აქცია, რომელიც არ ჰგავდა ტიპიურ გერმანულ გუნდებს და აკი აკლდა კიდეც გამარჯვების გერმანული კულტურა.

მიხაელ ბალაკი და ზე რობერტო — ეს ფეხბურთელები საამსეზონოდ „ბეიერნმა" წაჰგვარა „ლევერკუზენს" და ტოპმიოლერმაც დაიჩივლა: „გუნდის გაძლიერება კი არა, რაც გაგვაჩნდა, ის ვერ შევინარჩუნეთ. ასეთი ფეხბურთელების შეცვლა კი ძალიან ძნელია." თუმც, მწვრთნელს კლუბმა სამი სხვა წამყვანი ფეხბურთელი შეუნარჩუნა — კარსტენ რამელო, ოლივერ ნოივილი და ბერნდ შნაიდერი — გასაყიდად ბარაქა ხალხი.

სეზონის ბოლომდე „ლევერკუზენს" ტომას ჰორსტერი გაწვრთნის, ვინც მანამდე კლუბის ახალგაზრდულ გუნდში მუშაობდა. ის „ლევერკუზენში" 1979-91 წლებში თამაშობდა და რამდენიმე მატჩი ეროვნულ გუნდშიც უბურთავია, ხოლო 1988 წელს სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოც მოუხვეჭია — ახლა კი კალმუნდის იმედიური გულის ფიცარია.

**დავით თავართქილაძე**

# აქაც მოჯი, იქაც მოჯი

## აი, რაზე ფიქრობს იტალიის პრემიერი



მარჩელო ლიპი

**„იუვენტუსი"** „ბარსელონას" მარსელო სალასს კარლეს პუიოლში უცვლის. თურმე, „ბებერი ქალბატონის" სატრანსფერო საქმეთა მეუფეს, ლუჩანო მოჯის პუიოლზე თვალი კარგა ხნის დადგმული ჰქონია და მის სალასში გაცვლას საზაფხულოდ აპირებს.

კარლეს პუიოლი 24 წლის გახლავთ, მარსელო სალასი კი 28 წლისა. სალასი ჩილელია და, ვინძლო, ესპანურ გარემოში თავს უკეთაც იგრძნობს, თან ისიც აღსანიშნავია, რომ ფორვარდმა ტურინში თავი პირველხარისხოვან თავდამსხმელად ვერ დაიმკვიდრა. ჯერ იყო და, პირველ სეზონში, მუხლი იტკინა, რის გამოც მეტი წილი გაუცდა. შემდეგ კი დავიდ ტრეზეგეს, ალესანდრო დელ პიეროს, მარკო დი ვაიოს და მარსელო ზალაიეტასაც კი ვერ გაუწია კონკურენცია.

„რივერ პლეიტის" ყოფილ ფეხბურთელზე ამბობდნენ, „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შანსიც აქვსო, მაგრამ მისი პუიოლში გაცვლის ვარიანტი უფრო სარწმუნო ჩანს.

კიდევ, „იუვენტუსს" „ტრიესტინას" თავდამსხმელი დინო ფავა და მარცხენა მცველი ალესანდრო პარიზი მოსწონებია. მათი ამბავიც საზაფხულოა, თუმცა ამ სეზონის აღმოჩენის, ფაბრიციო მიკოლის არ იყოს, ფავაცა და პარიზიც, სავარაუდოდ, კონტრაქტს „იუვენტუსთან" გააფორმებენ, თამაშით კი „პერუჯაში" ითამაშებენ.

მეკონტრაქტეთუხუცესი, მოჯი, მწვრთნელთან, მარჩელო ლიპისთანაც აპირებს ახალი ხელშეკრულების გაფორმებას.

„ბოლო ტურში, „პარმასთან" მოგებულმა თამაშმა გვაჩვენა, რომ ჩვენს გუნდს მართლაც საუკეთესო ტაქტიკოსი ხელმძღვანელობს. მისი აზროვნება მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩვენს წარმატებებს, თუმცა ფეხბურთელებიც ჩინებული გვყავს. თავად განსაჯეთ, „ტარდინიზე" რვა წელიწადი არ მოგვიგია. განა იოლია იქ ჩახვიდე და ხელს სამი ქულა წამოაყოლო? მწამს, „იუვენტუსი" ძლიერი გუნდია, რომელიც „მილანთან" და „ინტერთან" კონკურენციას შეძლებს" — ისე თქვა მოჯიმ, გეგონება ლიპისთან ახალი კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ ამ ერთი თამაშის შედეგმა გადააწყვეტინაო.

და, ბარემ, რადგან სიტყვამ „მილანი" მოიტანა, „შავ-წითელი" ამბავიც ვახსენოთ: კლუბის პრეზიდენტმა (უფრო კი იტალიის პრემიერმინისტრმა) სილვიო ბერლუსკონიმ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის უთხრა, ორი თავდამსხმელით თამაში რა კარგი ყოფილა, მოდი ამიერიდან სულ ასე ვქნათო. ვინც სერია A-ს პირველობას თვალს ადევნებს, მიხვდებოდა რაზეცაა საუბარი: ბოლო ტურში, „მილანისა" და „ლაციოს" შეხვედრაში, „მილანი" პირველ ტაიმს 0:2-ს აგებდა, მაგრამ, როგორც კი შესვენების შემდეგ ანდრეი შევჩენკოს ფილიპო ინძაგი შეუწყვილა, თამაშის მიმართულება შეიცვალა და ანგარიშიც გაათანაბრა.

„მილანისნაირ" გუნდს ორი მთავარი თავდამსხმელი უნდა ჰყავდეს — თქვა ზოგისთვის პრეზიდენტმა, ზოგისთვის პრემიერმა — რივალდო ის კაცია, რომელიც მოედნის სიღრმეში ჩადის და, ამიტომ, მეტოქეებს, წინ დატოვებული ერთი თავდამსხმელის განეიტრალება უადვილდებათ. ორი ფორვარდით თამაშის დროს კი მოწინააღმდეგის კართან მეტ ხიფათს ვქმნით, რაც, მინდა მოგახსენოთ, „მილანისთვის" უფრო ბუნებრივია, რადგან ჩვენ შეტევ ფეხბურთს ვთამაშობთ. ვიცი, რომ ანჩელოტიმ რივალდოს ბევრჯერ სთხოვა შევჩენკოსთან რაც შეიძლება ახლოს იტრიალე, ძალიან ნუ დაშორდებიო, მაგრამ რას ვიზამთ, თუკი ბრაზილიელს ასეთი ბუნება არ აქვს".

**პაპუნა ძიძია**



ნაოჰირო ტაკაჰარას გოლი ელირსა

# ერთიც ჩამოასხი, ნაოჰიროსი ვთქვათ

**„ჰამბურგის"** ფანობა დიდხანს ელოდა ნაოჰირო ტაკაჰარას გოლს. იაპონელი ფორვარდი ოდესმე რომ გაიტანდა, ცხადი იყო, მაგრამ „მშრალი სერია" ძალიან გაიწელა. გაიწელა და ზუსტად მიუნხენის „ბაიერნთან" მატჩის დროს შეწყდა. მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე „ბაიერნი" 1:0 რომ იგებდა, ხოტორა იაპონელი საჯარიმოში ჩაწოდებულს შესწვდა და ოლივერ კანს გაუტანა. ამ გოლით ტაკაჰარამ თავის მხრივ კანის გოლგაუშვებელ სერიას მოუღო ბოლო და „ჰამბურგის" წაუგებელი სვლა გააგრძელა.

„ბაიერნის" კარში გატანილი პირველი ბუნდესლიგური იყო ნაოჰირო ტაკაჰარასთვის. ამ ამბავს აღნიშვნა რომ სჭირდება, გერმანელებს არ ესწავლებათ. კლუბის სპონსორმა „ჰოლსტენმა" კასრს თავი მოხსნა და ტაკაჰარას 500 ლიტრი ლუდი უფეშქაშა, შენზე ალალიაო. გერმანელებს არც ის დავიწყებიათ, შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონელებმა გულითადი მასპინძლობა რომ გაუწიეს.

იაპონელი კათხით ხელში ხომ არ მიუჯდებოდა მარტო კასრს, ამიტომ ლუდი გაანაწილა. 100 ლიტრი თანაგუნდელებთან ერთად ჩახვრიპა, 400 კი გუნდის ფანებს გაუგზავნა, თქვენი მხარდაჭერა და ქომაგობა კარგად მახსოვს „ჰამბურგში" ჩატარებული პირველი მატჩიდანო. „ეს მხოლოდ მცირედი საჩუქარია მადლობის ნიშნად — თქვა ნაოჰირომ — უთქვენოდ ნამდვილად გამიჭირდებოდა". „ჰამბურგის" დირექტორატის წევრმა ფეხბურთელს საქციელი შეუქო: „ვფიქრობ, ფანები ტაკაჰარას ძღვენს რომ გამოწრუპავენ, არც მისი სადღეგრძელო დაავიწყდებათ".

## არგენტინა

### კლაუსურა

**1-ლი ტური:** რასინგი — ურაკანი 1:0; სან ლორენსო — როსარიო სენტრალი 2:2; ოლიმპო — არსენალი 1:1; ბანფილდი — უნიონი 2:2; კოლონი — ესტუდიანტესი 2:0; ლანუსი — ინდეპენდიენტე 1:0; ნიუელს ოლდ ბოიზი — რივერ პლეიტი 2:2; ბოკა ხუნიორსი — ნუევა ჩიკაგო 2:0; ველეს სარსფილდი — ჩაკარიტა ხუნიორსი 1:0; ხიმნასია (ლა პლატა) — ტალიერესი 1:1

# კლაუსურას პირველი დღე



ბოკა ხუნიორსი — ნუევა ჩიკაგო. პედრო აგირესმა მასპინძელ კლიმენტე როდრიგესს ლამის თვალი გამოთხარა

**უქმეებზე** დაიწყო არგენტინის კლაუსურას (დამხურავი) ჩემპიონატი. აპერტურას მომგებმა, ანუ მოქმედმა ჩემპიონმა სარცხით დაიწყო ახალი შეჯიბრი და ბაიესის გარეუბნულ, მცირექომაგიან „ლანუსთან" 0:1 წააგო. ამ პირველ ტურში სულ ხუთმა გუნდმა მოიგო, ცხრილს კი სათავეში „ბოკა ხუნიორსი" და „კოლონი" ჩაუდგნენ, რომელთაც ორ-ორი ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს.

„ბოკამ" იოლი გამარჯვებით აღნიშნა მწვრთნელ კარლოს ბიანკის დაბრუნება. ეზეკიელ გონსალესმა და მატიას ლონეტმა თითო ტაიმში თითო გაუტანეს „ნუევა ჩიკაგოს". თუმცა, თამაშის გადამწყვეტ წუთს, გონსალესის გოლის შემდეგ მსაჯმა „ბოკას" კარში გოლი ვერ დაინახა. ბიანკის დაბრუნება კი ბოკელებს უპირობო ჩემპიონობისთვის განაწყობს. ამ კაცის მეთაურობით კლუბმა სამჯერ შიდა ჩემპიონობა, ორჯერ კი ლიბერტადორესის თასი მოიგო. ახლა კი „ბოკა" მეორე წელიწადია ელოდება რაგინდარა ტიტულს.

„ბოკელთა" საუკუნო მოწინააღმდეგე „რივერ პლეიტი" კი ფორმაში მყოფი ვერ შეეგება კლაუსურას, წინასეზონო ამხანაგურებიც ჩააგდო და პირველ ტურშიაც ძლივს გადაურჩა მარცხს. „ნიუელს ოლდ ბოიზი" ორჯერ უგებდა „რივერს" მაურო როსალესის და გილერმო მარინოს გოლებით, მაგრამ პირველად ესტებან ფუერტესმა გაქვითა, მეორედ კი „სან პაულუდან" გადმოყვანილმა ბრაზილიელმა ამელიმ.

კლაუსურას ტიტულისთვის ბრძოლას აპირებს „რასინგ კლუბიც", რომელმაც შარშან უხეიროდ გაიარა აპერტურა და რომელსაც ოსვალდო არდილესი წვრთნის. „რასინგმა" „ურაკანელი" გაბრიელ ლობოსის ავტოგოლით იმარჯვა: „უნივერსიდად დე ჩილიდან" ახალგადმოყვანილი ლუის რუედას დარტყმული ურაკანელთა მეკარე მარტინ რიოსმა ზედ ლობოსის ფეხზე მოიგერია და ეს გამოდგა თამაშის ერთადერთი გოლი. „ურაკანმა" ათი კაცით ითამაშა ბოლო 25 წუთს, რადგან როდოლფო გრაიები გაუძევეს.

არდილესმა კი კიდევ ორი ახალწვეული ათამაშა, კოლუმბიელი მცველი ანდრეს ოროსკო და ჩილელი ნახევარმცველი მიროვან მილოშევიჩი.

„როსარიო სენტრალს" მეორე ტაიმში გუსტავო ბაროს შელოტო და დანიელ კინტეროსი გაუძევეს, მაგრამ მაინც ფრედ დაასრულა შეხვედრა „სან ლორენსოსთან", რომელსაც 84-ე წუთამდე უგებდა. „სან ლორენსო" თავისი მეკარის, სებასტიან სახას გატანილი პენალტით იგებდა, მაგრამ, თამაში ისე წაეწყო, რომ ლუსიანო ფიგეროამ და ორასიო კარბონარიმ თვითონ სახას გაუტანეს თითო გოლი, ბოლოს კი პაბლო მიშელინიმ გაათანაბრა.

**ონარიო ბუსტოს დომეკი**

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა XXI ტური

**აინტრახტი 1:1 კიოლნი**

1:0 ბაიერლე (2), 1:1 კიოიო (59)

*კიოლნელი არჩილ არველაძე ტრავმირებულია*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 20 | 11 | 9 | 0 | 42:22 | 42 |
| მაინცი | 21 | 12 | 3 | 6 | 36:20 | 39 |
| აინტრახტი | 21 | 11 | 6 | 4 | 31:16 | 39 |
| ფრაიბურგი | 20 | 11 | 4 | 5 | 31:18 | 37 |
| ტრირი | 21 | 9 | 6 | 6 | 36:27 | 33 |
| ალემანია | 20 | 8 | 7 | 5 | 37:29 | 31 |
| დუისბურგი | 20 | 8 | 7 | 5 | 29:25 | 31 |
| ფიურტი | 21 | 7 | 9 | 5 | 26:22 | 30 |
| ობერჰაუზენი | 20 | 8 | 6 | 6 | 25:23 | 30 |
| ბურგჰაუზენი | 21 | 6 | 8 | 7 | 31:27 | 26 |
| ლიუბეკი | 21 | 8 | 2 | 11 | 32:33 | 26 |
| როიტლინგენი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:30 | 25 |
| უნიონი | 20 | 5 | 8 | 7 | 24:37 | 23 |
| ალენი | 21 | 6 | 4 | 11 | 26:36 | 22 |
| კარლსრუე | 21 | 4 | 9 | 8 | 19:31 | 21 |
| ვალდჰოფი | 21 | 4 | 5 | 12 | 25:44 | 17 |
| ზანკტ პაული | 21 | 4 | 4 | 13 | 29:46 | 16 |
| ბრაუნშვაიგი | 19 | 2 | 5 | 12 | 19:39 | 11 |

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი XXXII ტური

**ლესტერი 1:1 პორტსმუთი**

1:0 ბენჯამინი (8), 1:1 მეთიუ ტეილორი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 32 | 19 | 10 | 3 | 66:32 | 67 |
| ლესტერი | 32 | 19 | 8 | 5 | 52:30 | 65 |
| შეფილდი | 29 | 15 | 7 | 7 | 44:30 | 52 |
| რედინგი | 31 | 16 | 4 | 11 | 38:30 | 52 |
| ნოტინგემი | 31 | 14 | 9 | 8 | 49:32 | 51 |
| როტერჰემი | 32 | 13 | 8 | 11 | 51:43 | 47 |
| ნორვიჩი | 30 | 12 | 10 | 8 | 43:30 | 46 |
| ვულვზი | 30 | 12 | 9 | 9 | 50:34 | 45 |
| უოტფორდი | 31 | 13 | 6 | 12 | 37:47 | 45 |
| იფსვიჩი | 30 | 12 | 8 | 10 | 47:38 | 44 |
| ქოვენთრი | 32 | 11 | 10 | 11 | 36:35 | 43 |
| მილუოლი | 32 | 12 | 7 | 13 | 39:47 | 43 |
| კრ. პალასი | 30 | 10 | 12 | 8 | 43:33 | 42 |
| ჯილინგემი | 30 | 11 | 9 | 10 | 40:41 | 42 |
| დერბი | 32 | 12 | 6 | 14 | 42:47 | 42 |
| ბარნსლი | 30 | 11 | 8 | 11 | 44:55 | 41 |
| უიმბლდონი | 30 | 10 | 9 | 11 | 50:50 | 39 |
| პრესტონი | 31 | 9 | 11 | 11 | 47:50 | 38 |
| ბრედფორდი | 31 | 9 | 8 | 14 | 37:52 | 35 |
| უოლსოლი | 31 | 9 | 6 | 16 | 42:50 | 33 |
| გრიმსბი | 32 | 7 | 7 | 18 | 36:62 | 28 |
| ბრაიტონი | 32 | 6 | 8 | 18 | 33:51 | 26 |
| სტოკი | 31 | 5 | 10 | 16 | 34:56 | 25 |
| უენსდი | 32 | 5 | 10 | 17 | 31:56 | 25 |

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი მერვედფინალის წილისყრა

*22 თებერვალი:* ალოა — ფოლკირკი; ეარი — რეინჯერსი; კლაიდი — მოზერუელი; დანდი — ქუინ ოფ საუთ ან აბერდინი; დანფერმლაინი — ჰიბერნიანი; ინვერნესი — ჰამილტონი; მორტონი — სტრანრარი

*23 თებერვალი:* სელტიკი — სენტ ჯონსტონი

## პორტუგალია

### პირველი ლიგა XXII ტური

**გიმარაეში 1:0 აკადემიკა**

1:0 რ. დიასი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 22 | 18 | 3 | 1 | 48:19 | 57 |
| ბენფიკა | 22 | 14 | 5 | 3 | 43:15 | 47 |
| სპორტინგი | 22 | 14 | 2 | 6 | 36:23 | 44 |
| გიმარაეში | 22 | 11 | 5 | 6 | 37:26 | 38 |
| ლეირია | 22 | 10 | 4 | 8 | 33:31 | 34 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 10 | 2 | 10 | 33:34 | 32 |
| ბელენენსეში | 22 | 8 | 5 | 9 | 29:31 | 29 |
| ვარზიმი | 22 | 8 | 4 | 10 | 27:29 | 28 |
| ბრაგა | 22 | 7 | 7 | 8 | 20:31 | 28 |
| ნასიონალი | 22 | 7 | 6 | 9 | 23:27 | 27 |
| ბოავიშტა | 22 | 6 | 8 | 8 | 20:20 | 26 |
| მარიტიმუ | 22 | 8 | 2 | 12 | 26:37 | 26 |
| ფერეირა | 22 | 6 | 6 | 10 | 20:32 | 24 |
| მორეირენსე | 22 | 5 | 8 | 9 | 25:30 | 23 |
| აკადემიკა | 22 | 5 | 7 | 10 | 24:34 | 22 |
| სეტუბალი | 22 | 4 | 9 | 9 | 23:26 | 21 |
| სანტა კლარა | 22 | 4 | 8 | 10 | 25:35 | 20 |
| ბეირა მარი | 22 | 4 | 7 | 11 | 25:37 | 19 |


UAB "Biljardai"
Zeus company
Biljardai
ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების



saluc
Master
კონსულტაციები, გარანტია
რემონტი, რესტავრაცია
95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. N2


# ანგლო-იტალიური ჭორ-მართალი



ამბობენ, „მანჩესტერმა" ვენსან კანდელას (№32) და ედგარ დავიდსს დაადგა თვალი

**იტალიურ** პრესაში გავრცელებული ცნობების თანახმად, „იუვენტუსმა" „მანჩესტერ იუნაიტედს" ფრანგ მცველზე, მიკაელ სილვესტრზე ჩამოუგდო სიტყვა. ტურინელებს მარცხენა მცველი სურთ, „იუნაიტედს" კი რახანია, ედგარ დავიდსი მოსწონს. მანჩესტერელმა მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა „იუვენტუსის" „პარმასთან" შეხვედრას დაკვირვებით ადევნა თვალი (მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერი" და „იუვენტუსი" დღეს ხვდებიან ერთმანეთს და კიდევ ერთხელ შეათვალიერა ჰოლანდიელი ნახევარმცველი.

როგორც ამბობენ, იგივე „მანჩესტერ იუნაიტედი" ამ ზაფხულზე „რომასგან" ფრანგი ვენსან კანდელას ყიდვას აპირებს. კანდელას ფასი 9 მილიონი გირვანქაა.

ლონდონის „ტოტენჰემი" კი, თურმე, „უდინეზეს" მარტინ იორგენსენის თაობაზე ელაპარაკება. აღსანიშნავია, რომ იორგენსენით „ლაციო" და „ინტერიც" არიან დაინტერესებულნი, მაგრამ თავად ფეხბურთელს „ტოტენჰემში" გადასვლის იდეა უფრო მოსწონს. „უდინეზე" ლონდონელებს დანიელი ფეხბურთელის ფასად 5 მილიონ გირვანქას უსახელებს.

„რომას" მცველი, ტრაიანოს დელასი ერთბაშად სამ ინგლისურ კლუბს ჩავარდნია გულში. ეს კლუბებია, „მიდლსბრო", ზემოხსენებული „ტოტენჰემ ჰოთსპური" და „ევერტონი". ამბობენ, სეზონის ბოლოს ბერძენი მოთამაშის გაყიდვაზე უარს არც რომაელები იტყვიანო.

„ინტერს", ამასობაში, ნახევარდაცვის გაძლიერება არსენალელი შვედის, ფრედი ლიუნგბერგის ყიდვით მონდომებია. ამბობენ, „შავ-ლურჯების" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ლონდონს თავისი ხალხი აფრინა და „მეთოფეებს" 12 მილიონი გირვანქა შესთავაზაო.

ლონდონის კიდევ ერთი გუნდი, „ფულემი", უფრო სწორად კი მისი პრეზიდენტი, მილიონერი მოჰამედ ალ ფაიედი კი „მილანისგან" ანდრეი შევჩენკოს ყიდვაზე ოცნებობს. მოგეხსენებათ, უკრაინელს კარლო ანჩელოტისეული წესი, შემადგენლობის ხშირი ცვლა, არ მოსწონს, სულ ძირითადში ყოფნა უნდა და, შესაძლოა, ამაზე წამოიკიდონ.

პარმაში იყვნენ „ლივერპულის" სელექციონერები, რომლებიც მასპინძელთა „იუვენტუსთან" 1:2 მარცხს დაესწრნენ. მათი მიზანი ფრანგი საბრი ლამუშის საქმეში ცოცხლად ნახვა იყო. არ არის გამორიცხული, სეზონის ბოლოს ლამუში 5 მილიონ გირვანქად გაიყიდოს.

„მიდლბსროს" თავდამსხმელმა მასიმო მაკარონემ კი ერთხელაც უარყო, რომ გუნდიდან წასვლას აპირებს. „დიახ, გაზეთებში წავიკითხე, თითქოს იტალიაში ვბრუნდები, მაგრამ თავად, ამის შესაძლებლობას ვერ ვხედავ. მე მიყვარს „მიდლსბრო" და აქედან ფეხის გადგმას არ ვაპირებ" — განაცხადა თითქმის გასტრონომიული გვარის ფეხბურთელმა, რომელსაც „ინტერს", „რომას" და „ასტონ ვილას" უკავშირებდნენ.

**პაპუნა ძედია**


სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15



სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# აეროზიკა თურქულად

## ნიჭი ყისმათზეა, მაჭარი დაღვინებაზე

*თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ" თურქული ორკვირიანი შეკრება მოილია და საგაზაფხულო ეტაპისთვის თბილისში განაგრძობს ვარჯიშს.*

*ვიტელები შინ უმთავარმწვრთნელოდ დაბრუნდნენ. ჯანი კარნევალი ორი დღით ბათუმში შეყოვნდა და დედაქალაქში გუშინ დილით დაბრუნდა.*

*იტალიელმა გუშინვე სავარჯიშოდ იწვია შეგირდები, ნასამხრევს კი, დაღლილობის მიუხედავად, კლუბის ოფისში გვისტუმრა და ინტერვიუც შედგა. მან ანთალიური შეკრება შეაფასა და მომავალზე ისაუბრა*



**— თურქულმა შეკრებამ ბიჭებზე დადებითად იმოქმედა. ნორმალურ პირობებში ვემზადებოდით, პრობლემები თითქმის არ შეგვქმნია.** ერთი ეგ იყო, ორიოდ დღეს ამინდმა იჭირვეულა. წვიმა, ძლიერი ქარი მოედანზე გასვლის საშუალებას არ იძლეოდა, მაგრამ ფეხბურთელები ტრენაჟორებს მივაყენე და იქ გადავრეცინე ოფლი. პარალელურად აერობიკის პროფესიონალი სპეციალისტი გვემსახურებოდა. მიმაჩნია, რომ აერობიკაში ვარჯიში ფეხბურთელის კოორდინაციას აუმჯობესებს.

**— „ვიტ ჯორჯიამ" თურქეთში ორი კვირის მანძილზე ოთხი საკონტროლო მატჩი ითამაშა. როგორ გგონიათ, გუნდის შეთამაშებისთვის ეს საკმარისია?**

— ჯანი კარნევალის მზადების თავისი გეგმა გააჩნია. ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო, საკონტროლო მატჩების რაოდენობა გაგვეორმაგებინა, მაგრამ მაშინ ბიჭები ფიზიკურად როდისღა მომემაგრებინა? თანაც მარტო ფიზმომზადება ხომ არ არის მთავარი მიზანი. ტაქტიკურ-ტექნიკური დახვეწა, სტანდარტული მდგომარეობების დამუშავება და კიდევ მრავალი ნიუანსია გასათვალისწინებელი.

**— წლეულს თქვენი გუნდი ვერც შეკრებაზე ნაჩვენები შედეგებით დაიკვეხნის.**

— შეკრებისას ნათამაშებ მატჩებს სულ სხვა დატვირთვა აქვს და პირადად მე იქ ნაჩვენებ შედეგს არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. სადღეისოდ ჩემი ბიჭები ჯერ არ არიან ოპტიმალურ ფორმაში და მწამს, ეს ასე უნდა იყოს. „ვიტ ჯორჯია" სრულ მზადყოფნაში მარტისთვის იქნება, მაშინ, როცა ეროვნულ ჩემპიონატში გადამწყვეტი ბრძოლები დაიწყება.

თქვენ შედეგიახსენეთ, მაგრამ მგონია, ცუდად მაინც არ გვითამაშია. კიევის „არსენალთან" დიდი ანგარიშით კი წავაგეთ, მაგრამ თავიდან თამაში ჩვენი იყო. მე შემეძლო, მეორე ტაიმში ცვლილებები არ განმეხორციელებინა და იქნებ თამაშიც გადაგვერჩინა, მაგრამ ფეხბურთელებს ძალიან გადავღლიდი. „არსენალი" იმ დროისთვის მეორე შეკრებას გადიოდა, ჩვენ კი ორდღიანი წვრთნის შემდეგ ვეპაექრებოდით უკრაინელებს და ჩემი ფეხბურთელები დიდი დატვირთვებისთვის მზად არ იყვნენ. მათი კუნთები საათნახევრიან შრომას ვერ გაუძლებდა.

რუმინულ „ალბასთან" სულ ცოტა, ხუთბურთიანი უპირატესობით უნდა გვეძარჯვა, მაგრამ წავაგეთ. თუ საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალ მაჩვენებელს არ ჩავთვლით, თამაშის ხარისხით მეტოქეს ვჯობდით კიდეც.

**— მაგრამ ფეხბურთი გოლით ფასობს. „ვიტ ჯორჯია" კი მეტოქის კართან აურაცხელ საგოლე მომენტს ქმნის და უმრავლესობას ანიავებს. დაგვეთანხმებით, ეს ერთი დიდი პრობლემაა.**

— სწორად შენიშნეთ, მაგრამ უსაშველოც არაფერია. ჩემი ფორვარდები ჯერაც ახალგაზრდა, დაუღვინებელი ბიჭები არიან. მათ ჯერ არც გამოცდილება ჰყოფნით და არც სათანადო პრაქტიკა გააჩნიათ. ისინი ძალიან ნიჭიერები არიან და ცოტა ხანში გატანასაც მოუხშირებენ. თანაც ბევრი რამ ყისმათზეც არის დამოკიდებული. შეიძლება, ზოგჯერ ყველა დარტყმული კარის ჩარჩოში მოახვედრო და პირიქით, ვერანაირად გოლი ვერ გაიტანო.

**— სადღეისოდ „ვიტ ჯორჯიაში" 27 ფეხბურთელი ირიცხება. მაღალი კონკურენცია მწვრთნელის წისქვილზე ასხამს წყალს თუ ეს გარკვეულ პრობლემებს გიქმნით?**

— კონკურენცია თავისთავად აუცილებელი და დადებითი მომენტია, მაგრამ გარკვეული ზღვარი აქაც არის. მიხარია, როცა ერთ პოზიციაზე ორი თანაბარძალოვანი მოთამაშე მეგულება, მაგრამ როცა ერთ ადგილზე სამი და მეტი აცხადებს პრეტენზიას, მაშინ პრობლემები გარდაუვალია. როგორც უნდა ვეცადო, ვიღაც უთამაშებელი მაინც დარჩება, სათადარიგოობა კი მეტად არასახარბიელო რამ არის.

**— მოედანზე კი მხოლოდ 11 ფეხბურთელი თამაშობს. შეგირდების მხრიდან რამე უკმაყოფილება ხომ არ გიგრძვნიათ?**

— კარნევალი არასდროს არ დააყენებს საქმეს ისე, რომ ვიღაც უკმაყოფილო იყოს. მათ იციან, რომ მოედანზე საუკეთესო გადის, დანარჩენი კი მათივე პრობლემებია, იქნებიან მზადყოფნაში და ითამაშებენ.

**— ანთალიურ შეკრებაზე თქვენი ჩანაფიქრის სრული რეალიზება თუ შეძელით?**

— მთლიანობაში კი. სადაც საქმე კეთდება, იქ ზოგჯერ პრობლემებიც იჩენს-ხოლმე თავს. თურქეთში რამდენიმე მოთამაშემ იავადმყოფა, მაგრამ დღეს ყველა მათგანი ჯანმრთელია და თავდაუზოგავად ვარჯიშობს.

**— რომელი რგოლის გაძლიერებას ისურვებდით?**

— დიდი პრობლემა არც ერთ რგოლში არ გვაქვს. ისიც ფაქტია, რომ ჩემპიონატის დასრულება დღევანდელი შემადგენლობით მოგვიწევს.

**— უკვე გადაწყვიტეთ, ვის ზურგზე გადაივლის საგაზაფხულო ეტაპის მთელი სიმძიმე?**

— საბოლოოდ ჯერაც არ ჩამოვყალიბებულვარ. რა თქმა უნდა, გარკვეული მონახაზი შედგენილია, თუმც არც ის არის გამორიცხული, მარტის შუაწელამდე რამე შეიცვალოს.

**— სინიორ ჯანი, დღევანდელი მზადყოფნით „ვიტ ჯორჯიას" რისი მიღწევა ძალუძს?**

— ოთხი წელიწადია, საქართველოში ვმუშაობ და ამ ხნის მანძილზე არავის შევპირებივარ, ოქრო-ვერცხლით ან ბრინჯაოთი აგავსებთ-მეთქი. ჩემი საქმეა, გუნდი მოვამზადო, ჩანაფიქრი ფეხბურთელებამდე მოვიტანო. პასუხისმგებლობას არასდროს გავქცევივარ, მაგრამ ხომ არსებობს გარეშე ფაქტორებიც. თანაც მოთამაშეებზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. წინასწარ არავინ იცის, რა მოხდება მოედანზე და როგორ აეწყობა თამაში. ამიტომაც ვითხოვ ჩემი ბიჭებისგან მაქსიმალურ მობილიზაციას.

**მამუკა ძგანტალიანი**

*მე-14 ეროვნული ჩემპიონატი უინტერესოდ ნამდვილად არ მიმდინარეობს და ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ჩვენში რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი წარმოჩინდა.*

*დავით ქოქიაშვილი „ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველი გახლდათ და ჯერ-ჯერობით საუკეთესოდ გაატარა ბურთი საქართველოს ჩემპიონატში. 19-წლამდელთა ყოფილი კაპიტანს ჩუბინობა იმად დაუფასდა, რომ ახალგაზრდული ნაკრების ახალმა დამრიგებელმა რევაზ არველაძემ პირველივე მატჩში მიიწვია გუნდში – მოლდოველ თანატოლებთან შეხვედრაში ქოქიაშვილი ქართველთაგან ყველაზე გამორჩეული გახლდათ.*

*დავითი ვიტჯორჯიელიაო, ვთქვით, მაგრამ კონტრაქტით მოსკოვის „სპარტაკის" საკუთრებაა. ქოქიაშვილთან საუბარიც სწორედ მისი რუსულ ტოპკლუბში შარშანწინდელი გადასვლის პერიპეტიებით დავიწყეთ*

## კარლსრუე — მოსკოვი — თბილისი — კიევი

# ახალგაზრდა მოგზაური, რომელიც არველაძის აზრებს კითხულობს

— სანამ „სპარტაკში" მივიდოდი, ექვსი თვე გერმანიაში გახლდით სტაჟირებაზე — „კარლსრუეში" ვიყავი და ამ კლუბის ბაზაზე ვცხოვრობდი. შემდეგ „სპარტაკს" მივაშურე გასინჯვაზე და ათი დღის მერე კონტრაქტსაც მოვაწერე ხელი. მქონდა გერმანიაში დარჩენის პერსპექტივა, მაგრამ „სპარტაკი" ვარჩიე.

**— „ვიტ ჯორჯიაში" ვისი ინიციატივით აღმოჩნდი?**

— ეს ჩემი სურვილი იყო — სათამაშო პრაქტიკის მიღება მსურდა და ასე ჩავთვალე საჭიროდ — ვიტელებთან იჯარით ვარ გამოშვებული.

**— მიგაჩნია, რომ „ვიტ ჯორჯიაში" გატარებული ნახევარი სეზონი უფრო ნაყოფიერი იყო შენთვის, ვიდრე „სპარტაკის" დუბლშემადგენლობაში თამაში?**

— რა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯიაში" თამაში უფრო ნაყოფიერი გამოდგა. საქართველოს ეროვნულ და რუსთა დუბლების ჩემპიონატებს შორის საკმაო სხვაობაა. „ვიტ ჯორჯიაში" თამაშით მართლაც კარგ ფორმაში შევედი.

**— და შენი სურვილია, რომ რამდენიმე ხნით კიდევ დარჩე „ვიტ ჯორჯიაში"?**

— მირჩევნია აქ ვიყო, მაგრამ ყველაფერი ჩემ სურვილზე არაა დამოკიდებული.

**— ვიტჯორჯიულ კარიერას წარმატებულად თვლი? შენ ხომ ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიგიწვიეს.**

— ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემი დებიუტით კმაყოფილი ვარ — ურიგოდ არ მითამაშია. ძალიან ბედნიერი ვარ ნაკრებში გამოძახებით. მოლდოვასთან მატჩის შემდეგ რევაზ არველაძეს ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემით უკმაყოფილო არ დარჩენილა.

**— „ვიტ ჯორჯიაში" სულ საყრდენად თამაშობდი, არველაძემ კი მარცხენა ნახევარმცველად გაგამწესა...**

— საკუთარ თავზე იმას ნაღდად ვერ ვიტყვი, რომ ნებისმიერ პოზიციაზე შემიძლია თამაში, მაგრამ ნახევარდაცვიდან სხვა რგოლში თუ არ გადამიყვანენ, შუახაზის ნებისმიერ პოზიციაზე თავს გავართმევ საქმეს. ისე კი მირჩევნია, ნახევარდაცვის ცენტრში ვითამაშო.

**— მოლდოვასთან მატჩის წინ არველაძემ რა დავალება მოგცათ ფეხბურთელებს?**

— აქცენტი ძირითადად განწყობის ამაღლებაზე გააკეთა — არაფერი არ დათმოთ და ბოლომდე იბრძოლეთ, საქართველოს ნაკრების მაისურით თამაში დიდი პასუხისმგებლობააო. ჩვენ მხოლოდ ერთდღიან შეკრებაზე ვიყავით და უმთავრესიც სათანადო განწყობა იყო.

**— მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კი არველაძემ შენზე თქვა, ძალიან ვაფასებ ისეთ ფეხბურთელებს, რომლებსაც კარგი დარტყმა აქვთ და სტანდარტულებს უნარიანად ასრულებენო...**

— ასეთი დახასიათება ძალიან სასიხარულოა. სადაც კი მითამაშია, ჯარიმებს და ორივე ფლანგიდან კუთხურებს სულ მე ვასრულებ ხოლმე — ამაზე საგანგებოდ ვვარჯიშობ.

**— ეროვნულ ჩემპიონატზეც ვთქვათ. ბოლო დროს „ვიტ ჯორჯია" თბილისის „დინამოსთან" წარმატებით თამაშობს. დინამოელთა კაპიტანმა გიორგი შაშიაშვილმა ისიც თქვა, „ვიტ ჯორჯია" ჩვენთვის უხერხული მეტოქეაო...**

— „ვიტ ჯორჯია" მხოლოდ „დინამოსთვის" კი არა, ყველა გუნდისთვის უხერხული მეტოქეა. თუმც ბოლო ორი სეზონია, ვიტელებს „დინამოსთან" არ წაუგიათ. როცა „დინამოს" პირისპირ პირველად ვითამაშე, 1:0 მოვიგეთ და ამან ძალიან გამახარა — „დინამო" ხომ მართლაც და სერიოზული გუნდია.

**— იანვარში კიევის „დინამოში" იყავი გასინჯვაზე ვიტჯორჯიელ გიორგი ადამიასთან ერთად — იქ ფეხის მოკიდება ძალიან ძნელია?**

— ვფიქრობ, ყველაფერი ნორმალურად წაგვივიდა, საკონტროლო თამაშებიც კარგად ვითამაშეთ, მაგრამ კიევის „დინამოს" პირველი გუნდი უცხოურ შეკრებაზე იყო და მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ მიხაილიჩენკოს გარეშე საკითხის გადაწყვეტა არ ხერხდებოდა. ამასობაში „სპარტაკიდან" დამირეკეს და მითხრეს, მოსკოვში ჩამოდი, ჩვენს გარეშე მაინც არაფერი გამოგაო. შემდეგ ისე მოხდა, რომ ვერც „ვიტ ჯორჯიას" გავყევი თურქეთში შეკრებაზე, მოსკოვში ჩემი წასვლა-არწასვლა კი სულ მალე გადაწყდება.

**დავით თავართქილაძე**



დავით ქოქიაშვილი (№13) „სპარტაკს" უმიზნებს

# მანეჟია, სიცივეა

**გუშინ** 19-წლამდელთა გუნდის თავკაცმა ოთარ კორღალიძემ შეგირდებს დიდუბეში უხმო და სპორტულ მანეჟში ნაკრების შეკრებაც დაიწყო.

სადღეისოდ მწვრთნელთა განკარგულებაში 16 ფეხბურთელია, რომლებსაც დღეს ტორპედოელი სულაბერიძე შეუერთდება. გუშინ კი კორღალიძის განკარგულებაში ესენი იყვნენ: *თოთლაძე, ნაფეტვარიძე, ფოფხაძე, იმედაშვილი, ლემონჯავა, კაშია, წილოსანი, ექოშია, გოგინაშვილი, დემეტრაძე, გურული, მარცვალაძე, ბურნაძე, ხოჯავა, კაჭარავა, კუნჭულია;*

ზემოთ შეკრება კი ვახსენეთ, მაგრამ ცხრამეტწლამდელთა ნაკრების „წვალება" შეკრებას სანახევროდ მოგაგონებთ. ბიჭები ვარჯიშობენ, ისადილებენ და საღამოხანს შინ ბრუნდებიან. სასტუმრო „მანეჟში" ღამის გათევას, უფრო სწორად, გაყინვას ეს ნამდვილად სჯობს.

21 თებერვლამდე კორღალიძის გუნდი ასე იწვალებს, მერე მარტში კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან და იტალიაში, ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ეტაპზე გამგზავრების დროც მოატანს, სადაც ჩვენი გუნდისგან სახეიროს მაინცდამაინც არაფერს უნდა ველოდეთ. ნაკრები, რომელსაც შეკრებაზე თბილი ოთახი ენატრება, რისი მომგებია? ჰოდა, ალავერდიც ფეხბურთის ფედერაციას, თბილისში სასტუმროები დალეულქს თუ ფედერაციის ანგარიშს ისევ ყადაღა ადევს?

დღეს ცხრამეტწლამდელები გორში ითამაშებენ „დილასთან", ზეგ კი რუსთავში „გორდას" გაეჯიბრებიან.

**მამუკა ძგანტალიანი**

# ფილიას ოცდაოთხიანი

**ფოთის „კოლხეთის"** თავკაცმა სოსო ფილიამ იმ 24 ფეხბურთელის ვინაობა გაამხილა, რომელთაგანაც საგაზაფხულო ეტაპის გუნდს გააკეთებს. „ფაზისზე" ისევ არ გამოჩენილან გუნდის წამყვანი შუახაზელები — გვასალია და ფანჩულიძე. სამაგიეროდ, ფილიამ ნახევარმცველი გაბიდაური და ფორვარდი გონჩაროვი ფოთში ჩატყუება მაინც მოახერხა. შემოდგომის მიწურულს გაბიდაური „კოლხეთიდან" სულაც ნაწყენი წამოვიდა, გონჩაროვი კი ჯერ უცხოეთში აპირებდა მოწყობას, ბოლოს კი ბოლნისურ „სიონში" ვარჯიშობდა.

ფოთელებს ჯერაც ეიმედებათ, რომ ზაფხულში „დინამოდან" ნათხოვარ განაპირა მცველ სვანიძეს „კოლხეთში" მოაბრუნებენ, რომელიც სადღეისოდ თემურ მახარაძის მითითებებს ასრულებს. რა გამოვა ამ საქმიდან, დღეს-ზვალ გაირკვევა.

სოსო ფილიას 24-კაციანი სია კი ასეთია: *ლაბაძე, ჩემია, ბერაია, ნარსია, ქობულაძე, ქუტიძე, გოროზია, ლონდაძე, კვერნაძე, გაგუა, ტუღუში, კრასოვსკი, მალანია, ფილია, გოჩალეიშვილი, ჯოლია, ხურცილავა, თურქია, ბალათურია, ი. ლოლუა, დ. ლოლუა, ბურჯანაძე, გაბიდაური, გონჩაროვი.*

**მამუკა ძგანტალიანი**

# გველეშაპს თავები არ ამოსდის?



სანდრო იაშვილმა „დინამოსთვის“ პირველად გაიტანა

**ადრიატიკის ზღვის** ჰაერი თბილისის „დინამოზე“ მართლაც კარგად მოქმედებს — უქმეებზე შუშაკელებმა სპლიტის „ჰაიდუკს“ მოუგეს, ხოლო გუშინ ხორვატიის მესამელიგელი „ზმაი“ აზმუვლეს — 7:1.

„ზმაი“ მაკარასკის გუნდია, სადაც „დინამოა“ დაბანაკებული. ამ კლუბში დაიწყო კარიერა ალენ ბოკშიჩმა, რომელმაც ახლახან დაანება თამაშს თავი. „ზმაი“ სერბულ-ხორვატულ ენაზე გველეშაპს ნიშნავს, მაგრამ გუშინ ცეცხლებს „დინამო“ ისროდა.

მატჩის პირველი გოლი ზმაიელებმა გაიტანეს მე-5 წუთზე. ჩვენებურთაგან კი ბურთები ამათ შეყარეს: ბობოხიძე (28, 47), იაშვილი (30), სამხარაძე (72პ), კვირკველია (83, 86), მიქაძე (89).

„დინამოს“ შემადგენლობა ასეთი გახლდათ: *გვარამაძე; მაზიაშვილი, ხიზანეიშვილი, კანდელაკი; მანწკავა, მანჩხავა (ამისულაშვილი 59), კვირკველია, სამხარაძე; მიქაძე, იაშვილი, ბობოხიძე (ახალაია 59).*

დღეს დინამოელები ხორვატიულ მეორელიგელ „მოსორს“ გაეჯიბრება.

**დავით თავართქილაძე**

*შოტლანდიურმა პრემიერლიგამ ნაახალწლევს შესვენება აილო და სეზონის განახლების შემდეგ ᲨᲝᲗᲐ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔᲛ ლიგის თასზე რომ გაიტანა, მას მერე „რეინჯერსს“ გოლებით ველარ შეენია, პრემიერლიგის ბოლო ტურში კი სულაც შეცვლაზე ითამაშა. არადა დიკ ადვოკაატის თუ ალექს მაკლიშის მწვრთნელობისას, შოთა ყოველთვის სასტარტოში ხვდებოდა ტრავმა თუ არ აწუხებდა. რა ხდება ახლა? სწორედ ამის გამო გავესაუბრეთ ქართველ რეინჯერსელს*

# შოთას მოტივაცია — მოლსი და ირლანდია

— ბოლო უგოლო მატჩებში მინიმუმ ერთი საგოლე შანსი ყოველ თამაშში მქონდა, მაგრამ... არ ვიცი, ზუსტად რას დავაბრალო გოლი რომ ვერ გამაქვს. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წუთით მე და „რეინჯერსის“ სხვა ფორვარდებიც ვრჩებოდით მოედანზე და ჩაწოდებებიდან კარში დარტყმებზე ვვარჯიშობდით. ახლა კი გლაზგოში ძალიან ცივი, ქარიანი ამინდებია და ვარჯიშის შემდეგ საამისოდ ველარ ვყოვნდებით. არადა, შესაძლოა, ეს მართლაც საჭიროა ჩემთვის.

**— „ჰართსთან“ მაკლიშმა შეცვლაზე გათამაშა — ეს იმას ნიშნავს, რომ კონკურენციის გამო ვერ მოხვდი სასტარტოში?**

— სიმართლე გითხრათ, ამ მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში არ გახლდით. ალბათ იცით, რომ ორივე ფეხის კუნთების ტკივილი მაწუხებდა. ბოლო რამდენიმე ვარჯიში გუნდთან ერთად კი ჩავატარე, მაგრამ მთლად ჯანზე მაინც ვერ ვიყავი — ალბათ ამან გამოიწვია ჩემი შეცვლაზე თამაში.

**— ეს მიხაელ მოლსის ფაქტორითაც ხომ არაა გამოწვეული? ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ამ ჰოლანდიელ ვეტერან ფორვარდს გოლები გააქვს და „აიბროქსზეც“ რა ხანია დიდი პატივით სარგებლობს.**

— შეიძლება ასეც იყოს, თუმც ასეთ შეკითხვაზე ზუსტ პასუხს მე ვერ გაგცემთ. ისე კი, ამ თავდამსხმელს მხნეობა და ჯანი არც ახლა აკლია. ერთი სიტყვით, ვნახოთ რა იქნება.

**— როგორ ფიქრობთ, მაინც როდის იქნები საუკეთესო ფორმაში?**

— იმედია 29 მარტისთვის, როცა თბილისში ირლანდიის ნაკრებს დავუხვდებით.

**— შენთვის უმთავრესი ეს მატჩია?**

— მთავარი ჯანმრთელობაა. როცა ჯანზე ხარ, ყველაფერი გამოგდის. ნელნელა მოვიკრებ ძალას. ირლანდიასთან მართლა მაქსიმალურ მზადყოფნაში კი უნდა ვიყო, მაგრამ მანამდე „სელტიკთან“ ელის „რეინჯერსს“ პრემიერლიგური მატჩი და ლიგის თასის ფინალიც.

**— წინა სეზონში „ტოტენჰემი“ დაინტერესდა შენი „რეინჯერსიდან“ წაყვანით. ახლა თუ არის მსგავსი ვარიანტები?**

— მე ვერ ვხედავ ისეთ პრობლემას, რომ „რეინჯერსიდან“ წასვლაზე ვიფიქრო. ამ კლუბით კმაყოფილი ვარ, მომავალი სეზონისთვის კი ჩემპიონთა ლიგაზე თამაში გვწადია.



შოთა არველაძე

**დავით თავართქილაძე**

# კალაძის ვირუსი ლაციო 02-03

**ოფიციალური** ინფორმაციით, მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ კახა კალაძე ტრავმის გამო შეცვალა. არადა, ჩვენებურმა ისედაც სუსტად ითამაშა „ლაციოს“ წინააღმდეგ. კალაძე ხშირად ტოვებდა საკუთარ ადგილს, რასაც რომაელები კარგად იყენებდნენ. ორივე გოლიც „ლაციომ“ ზუსტად მასპინძელთა დაცვის მარცხენა ფლანგიდან შექმნა.

როგორც ჩანს, კახა კალაძეს უკვე „ლაციოს“ სინდრომი გაუჩნდა. თუ გახსოვთ, „მილანის“ ქართველი მცველი შარშანაც რამდენჯერმე უხეშად შეცდა „სან სიროზე“, რისთვისაც „მილანის“ მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა ფატიჰ თერიმმა ძირითადი შემადგენლობიდანაც „ამოაგდო“. იმედია, ახლა ყველაფერი ჩვენებურის სასიკეთოდ დასრულდება.

კვლავ გამორჩეულია ინგლისურ პირველ დივიზიონში გიორგი ქინქლაძე. ბოლო ოთხი ტურია, ქართველი ნახევარმცველი ჩვეულად თამაშდა და ინგლისელი ჟურნალისტებიც აალაპარაკა. „შეფილდ უენსდისთან“ ბოლო ტურის მატჩში კი ქინქლაძემ „დერბი ქაუნთიში“ ყოფნის პერიოდში თავისი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, არწმუნებენ ბრიტანელები. „დერბიმ“ მძიმე ბრძოლა გადაიტანა „უენსდისთან“ თავიდან აგებდა, თან ფეხბურთელიც გაუძევეს, თუმც ქინქლაძის დახმარებით მოედნის ცენტრში მოპოვებული უპირატესობის გამოყენება შეძლო და საბოლოოდ საჭირო ქულაც ჩაიწერა მარაგში.

მეოთხე ადგილამდე დაქვეითდა „ფრაიბურგი“. სტუმრად უმოტივაციო „ლიუბეკთან“ უსუსური თამაშით მისმა კონკურენტებმა უმალ ისარგებლეს და ახლა „ფრაიბურგს“ დიდი ძალისხმევა დასჭირდება ძველი პოზიციების დასაბრუნებლად. სამივე ქართველმა სრულად ითამაშა, თუმც თავი მაინცდამაინც ვერაფრით გამოიჩინა.

„რეინჯერსი“ ჯერაც ულრტკინველად მიიწევს საჩემპიონო თასისკენ. „ჩაფრებმა“ შინ მესამეადგილოსან „ჰართსს“ სძლიეს მინიმალური ანგარიშით, თუმც მასპინძლებს მეტი გოლის გატანაც მართებდათ. შოთა არველაძე 69-ე წუთზე შევიდა მოედანზე მიხაელ მოლსის ნაცვლად. ხიზანიშვილ-ნემსაძის „დანდისა“ და „ლივინგსტონის“ მატჩი კი უამინდობის გამო გადაიდო.

გახოკიძე-პიდინკის ურთიერთობა აწონა-დაწონასავით ცვალებადი გახდა. ადრე პსვ-ს თავკაცი საერთოდ გაფიდვით „ემუქრებოდა“ ჩვენებურს, მერე მათ შორის ნდობა გაჩნდა და გახოკიძემაც ზედიზედ ორ ტურში ითამაშა — თავი გოლით და საგოლე პასით გამოიჩინა, თუმც ახლა ისევ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უწევს. „ვალვაიკთან“ (1:0) და „ზვოლესთან“ (6:0) მოგებულ მატჩებს გოგა მხოლოდ მოედნის გარედან ადევნებდა თვალს.

ორი ქართული გოლი გავიდა კვიპროსზე. ლევან მაღრაძემ და ლევან ქებაძემ ლომის წილი დადეს საკუთარი გუნდების გამარჯვებაში. ქებაძემ საერთოდ პირველად იხეირა კუნძულზე გადაბარგების შემდეგ.

მოიგო თემურ ქეცბაიას „ანართოსისმაც“. ჩვენებური კვლავაც აქტიური იყო მოედანზე და ორივე გოლიც მისი უშუალო მონაწილეობით გავიდა.

**კახა ფალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | პერუჯა 0:1 | 90 | | 16 | 0 | 2 |
| | | შ | ლაციო 2:2 | 45 | შეცვალეს | 17 | 0 | 3 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ალენი 4:0 | 90 | | 12 | 0 | 3 |
| | | ს | ლიუბეკი 0:2 | 90 | | 13 | 0 | 4 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ალენი 4:0 | 90 | 1 გოლი | 20 | 8 | 3 |
| | | ს | ლიუბეკი 0:2 | 90 | | 21 | 8 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ალენი 4:0 | 71 | შეცვალეს | 19 | 1 | 3 |
| | | ს | ლიუბეკი 0:2 | 90 | | 20 | 1 | 4 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | ალენი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| | | ს | ლიუბეკი0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ალემანია 3:3 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| | | ს | აინტრახტი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | აინტრახტი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 7 |
| | | ს | ალენი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 8 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | ს | პორტსმუთი 2:6 | 90 | 1 გოლი | 16 | 3 | 15 |
| | | შ | უენსდი 2:2 | 90 | | 17 | 3 | 15 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანფერმლაინი 3:1 | 84 | შეცვალეს | 18 | 10 | 1 |
| | | შ | ჰართსი 1:0 | 21 | შეცვლაზე ითამაშა | 19 | 10 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | დანდი იუნ. 1:1 | 62 | შეცვალეს | 14 | 0 | 7 |
| | | შ | გადაიდო | | | 14 | 0 | 7 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | დანდი იუნ. 1:1 | 90 | | 7 | 0 | 7 |
| | | შ | გადაიდო | | | 7 | 0 | 7 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | ს | ვალვაიკი 1:0 | 0 | სათადარიგო | 6 | 1 | 1 |
| | | შ | ზვოლე 6:0 | 0 | სათადარიგო | 6 | 1 | 1 |
| **ბელგია. მეორე დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | რუზელარე | ს | პატრო 0:1 | 90 | | 11 | 0 | 16 |
| | | შ | ვიზეტი 0:1 | 90 | | 12 | 0 | 18 |
| **თურქეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გია იმედაძე | ქოჯაელი | ს | სამსუნი 0:1 | 74 | შეცვალეს | 2 | 0 | 18 |
| გიეი დიდავა | ქოჯაელი | ს | სამსუნი 0:1 | 83 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 2 | 0 | 18 |
| რევაზ ქემოკლიძე | ქოჯაელი | ს | სამსუნი 0:1 | 90 | | 1 | 0 | 18 |
| ზაზა ჯანაშია | ქოჯაელი | ს | სამსუნი 0:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 18 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | პაფოსი 2:0 | 90 | | 15 | 3 | 3 |
| გიორგი შენგელია | მორფუ | შ | აპოლონი 0:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 10 | 2 | 10 |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | ნეა სალამინა 4:1 | 90 | 1 გოლი | 10 | 2 | 5 |
| მამუკა წერეთელი | ნეა სალამინა | ს | აელ 1:4 | 90 | | 14 | 0 | 12 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | არისი 3:2 | 90 | 1 გოლი | 4 | 1 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



კახა კალაძეს გარჯა არც იტალიელმა ჟურნალისტებმა მოუწონეს

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ


### გერმანია. ბუნდესლიგა
#### გადადებული მატჩი
**19 თებერვალი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 001 | გლადბახი-ვოლფსბურგი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 002 | ვერდერი-კოტბუსი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 003 | ვერდერი-კოტბუსი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.30 | 004 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 005 | ბაიერნი-ნიურნბერგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 006 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 008 | ჰანზა-ბოხუმი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 009 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 010 | შალკე-დორტმუნდი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 011 | ჰერტა-არმინია | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 20.30 | 012 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა
#### გადადებული მატჩი
**19 თებერვალი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 013 | რიოტლინგენი-ბრაუნშვაიგი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 014 | კიოლნი-ალენი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 015 | კიოლნი-ალენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 22.00 | 016 | კარლსრუე-ალემანია | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 22.00 | 017 | ობერჰაუზენი-ვალდჰოფი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 018 | სტ.პაული-უნიონი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.00 | 019 | ფიურტი-ლიუბეკი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 18.00 | 020 | ბურგჰაუზენი-აინტრახტი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 18.00 | 021 | რიოტლინგენი-მაინცი | 2,7 | 3,0 | 2,7 | 1,42 | 1,35 | 1,42 |
| 18.00 | 022 | დუისბურგი-ტრიერი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.15 | 023 | ფრაიბურგი-ბრაუნშვაიგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 024 | ფრაიბურგი-ბრაუნშვაიგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |

### ინგლისი. პრემიერლიგა
#### გადადებული მატჩი
**19 თებერვალი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 026 | ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 16.00 | 027 | ბოლტონი-მანჩესტერი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 16.30 | 028 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 19.00 | 029 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 19.00 | 030 | ჩელსი-ბლეკბერნი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 19.00 | 031 | ლიდსი-ნიუკასლი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 19.00 | 032 | სიტი-არსენალი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 19.00 | 033 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 034 | ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 20.05 | 035 | ბირმინგემი-ლივერპული | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 036 | ტოტენჰემი-ფულჰემი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |

### ინგლისი. I დივიზიონი
#### გადადებული მატჩები
**19 თებერვალი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 039 | ბრედფორდი-კრისტალ პალასი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 23.45 | 040 | იფსვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXIII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 041 | ბრაიტონი-მილუოლი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 042 | ბერნლი-დერბი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 043 | ქოვენტრი-ბრედფორდი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 044 | კრისტალ პალასი-უენსდეი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 19.00 | 045 | იფსვიჩი-გრიმსბი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 046 | ლესტერი-უიმბლდონი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 047 | ნოტინგემი-სტოკი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 048 | პორტსმუთი-ჯილინგემი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.00 | 049 | პრესტონი-ვულვერჰემპტონი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.00 | 050 | რედინგი-როტერჰემი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 051 | შეფილდი-ნორვიჩი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 052 | უოლსოლი-უოტფორდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXIII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 055 | კარდიფი-პლიმუთი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 056 | ბარნსლი-ჰადერსფილდი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 19.00 | 057 | ჩელტენჰემი-კოლჩესტერი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 058 | ჩესტერფილდი-კრიუ | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 19.00 | 059 | ლუტონი-ბრენტფორდი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 060 | ნორთჰემპტონი-ბრისტოლი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 061 | ოლდჰემი-ნოტსი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 19.00 | 062 | პიტერბორო-სტოკპორტი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 063 | პორტ ვეილი-სუინდონი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 064 | ქუინს პარკი-მენსფილდი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 065 | ტრანმერი-ბლეკპული | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 066 | უიკომბი-უიგანი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |

### ინგლისი. III დივიზიონი
#### გადადებული მატჩები
**19 თებერვალი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 070 | როჩდეილი-როვერსი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.45 | 071 | ბოსტონი-რექსემი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXIII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 072 | ბოსტონი-კიდერმინსტერი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 19.00 | 073 | ბორნმუთი-ექსეტერი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 074 | როვერსი-მაკლსფილდი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 075 | ჰარტლპული-სუონსი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 076 | ჰარტლპული-სუონსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 19.00 | 077 | ჰალი-კემბრიჯი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 19.00 | 078 | ლეიტონი-შრუსბერი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 19.00 | 079 | როჩდეილი-კარლაილი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 080 | სკანთორპი-ლინკოლნი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 081 | საუთენდი-რაშდენი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.00 | 082 | ტორკი-ოქსფორდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 083 | იორკი-ბერი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 084 | რექსემი-დარლინგტონი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |

### იტალია. სერია "A". XXII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 21.00 | 085 | კომო-იუვენტუსი | 6,5 | 3,6 | 1,5 | 2,31 | 1,21 | 1,05 |
| 23.30 | 086 | ტორინო-მილანი | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 087 | ბოლონია-ემპოლი | 1,7 | 3,1 | 5,3 | 1,09 | 1,28 | 1,95 |
| 18.00 | 088 | ბრეშა-რეჯინა | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 18.00 | 089 | ინტერი-პიაჩენცა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 090 | ინტერი-პიაჩენცა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 18.00 | 091 | ლაციო-ატალანტა | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 18.00 | 092 | მოდენა-კიევო | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 18.00 | 093 | უდინეზე-რომა | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| 23.30 | 094 | პერუჯა-პარმა | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |

### იტალია. სერია "B". XXIII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 095 | ვერონა-ვენეცია | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 096 | ანკონა-ვიჩენცა | 2,35 | 2,6 | 3,4 | 1,23 | 1,38 | 1,47 |
| 18.00 | 097 | ბარი-ჯენოა | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 18.00 | 098 | კალიარი-ტერნანა | 1,75 | 2,9 | 5,3 | 1,09 | 1,31 | 1,87 |
| 18.00 | 099 | კატანია-მესინა | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |
| 18.00 | 100 | კოზენცა-ნაპოლი | 2,5 | 2,7 | 3,0 | 1,29 | 1,36 | 1,42 |
| 18.00 | 101 | სალერნიტანა-ლეჩე | 3,1 | 3,0 | 2,3 | 1,52 | 1,32 | 1,3 |
| 18.00 | 102 | სამპდორია-ასკოლი | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| 18.00 | 103 | სიენა-პალერმო | 1,85 | 2,8 | 4,8 | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 104 | ტრიესტინა-ლივორნო | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |

### ესპანეთი
### I დივიზიონი. XXIII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 106 | რეალი-ვალიადოლიდი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 107 | რეალი-ვალიადოლიდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 23.45 | 108 | დეპორტივო-ალავესი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 00.30 | 109 | ბარსელონა-ბეტისი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 110 | სოსიედადი-ოსასუნა | 1,6 | 3,2 | 6,5 | 1,06 | 1,28 | 2,14 |
| 20.00 | 111 | სელტა-ესპანიოლი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 20.00 | 112 | ვილარეალი-რასინგი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 20.00 | 113 | მალაგა-სევილა | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 20.00 | 114 | უელვა-ატლეტიკო | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 22.00 | 115 | მალიორკა-ბილბაო | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 23.30 | 116 | რაიო-ვალენსია | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXIV ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 21.30 | 117 | სპორტინგი-სერესი | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 15.00 | 118 | ლეგანესი-ელჩე | 2,5 | 2,6 | 3,1 | 1,27 | 1,38 | 1,41 |
| 15.00 | 119 | მურსია-სარაგოსა | 2,4 | 2,8 | 3,1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |
| 20.00 | 120 | ალბასეტე-ნუმანსია | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 20.00 | 121 | კომპოსტელა-ლას პალმასი | 2,6 | 2,6 | 3,0 | 1,29 | 1,39 | 1,39 |
| 20.00 | 122 | სალამანკა-ტერასა | 2,05 | 2,5 | 4,4 | 1,12 | 1,39 | 1,59 |
| 20.00 | 123 | ლევანტე-ალმერია | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 20.00 | 124 | ფერიოლი-ოვიედო | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 20.00 | 125 | ეხიდო-ბადახოსი | 1,9 | 2,8 | 4,6 | 1,13 | 1,34 | 1,74 |
| 20.00 | 126 | კორდობა-ეიბარი | 2,05 | 2,7 | 4,2 | 1,16 | 1,37 | 1,64 |
| 21.00 | 127 | ტენერიფე-ხეტაფე | 1,75 | 2,8 | 5,0 | 1,07 | 1,29 | 1,79 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი
#### გადადებული მატჩი
**19 თებერვალი**

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 128 | ტროა-ლილი | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი
### XXVIII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 20.15 | 129 | გენგამი-პსჟ | 2.45 | 2,8 | 3,0 | 1,3 | 1,34 | 1,44 |
| 23.00 | 130 | ნანტი-აიაჩო | 1,7 | 3,1 | 5,3 | 1.09 | 1,28 | 1.95 |
| 23.00 | 131 | სედანი-ბორდო | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1.39 |
| 23.00 | 132 | სოშო-ლე ავრი | 1,7 | 3,1 | 5.3 | 1.09 | 1,28 | 1.95 |
| 23.00 | 133 | მარსელი-ლილი | 1,6 | 3,1 | 7,0 | 1.05 | 1.3 | 2,14 |
| 23.00 | 134 | ლანსი-მონპელიე | 1,6 | 3,1 | 7.0 | 1,05 | 1.3 | 2,14 |
| 23.00 | 135 | ბასტია-ნიცა | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1.52 | 1.67 | 1,7 |
| 23.00 | 136 | ლიონი-რენი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2.33 |
| 23.00 | 137 | ტროა-სტრასბური | 2,3 | 3,0 | 3.1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 138 | მონაკო-ოსერი | 1,9 | 2,9 | 4.4 | 1.14 | 1.32 | 1,74 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი
### XXVII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 141 | ნანსი-ლორიანი | 2,45 | 2,8 | 3,0 | 1,3 | 1,34 | 1,44 |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 142 | ბოვე-ამიენი | 2,1 | 2,8 | 3,8 | 1,19 | 1,35 | 1,61 |
| 23.00 | 143 | კანი-გენიონი | 2,3 | 2,7 | 3,4 | 1,24 | 1.37 | 1.5 |
| 23.00 | 144 | შატორუ-გრენობლი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1.87 |
| 23.00 | 145 | კრეტეი-რეიმსი | 1,9 | 2,7 | 4,8 | 1.11 | 1,36 | 1,72 |
| 23.00 | 146 | ლავალი-კლერმონი | 1,75 | 3,0 | 5.0 | 1,1 | 1.29 | 1,87 |
| 23.00 | 147 | ნიორი-ლე მანი | 2.15 | 2,9 | 3,5 | 1.23 | 1,33 | 1,58 |
| 23.00 | 148 | სტ.ეტიენი-მეცი | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1.39 | 1,34 | 1.34 |
| 23.00 | 149 | ვალანსი-ისტრი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1.87 |
| 23.00 | 150 | ვასკეალი-ტულუზა | 3,0 | 2.7 | 2,5 | 1,42 | 1,36 | 1.29 |

### პორტუგალია. I ლიგა. XXIII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 01.00 | 151 | ბრაგა-ბელენენსეში | 1,8 | 3,2 | 4.2 | 1,15 | 1,25 | 1.81 |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 01.00 | 152 | სეტუბალი-ბენფიკა | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1.88 | 1,25 | 1.14 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 153 | ფერეირა-ჟილ ვისენტე | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1.29 | 1,49 |
| 20.00 | 154 | აკადემიკა-მარიტიმუ | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.00 | 155 | ნასიონალი-ლეირია | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1.3 | 1.57 |
| 21.00 | 156 | სანტა კლარა-გიმარაეში | 2.6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 23.00 | 157 | პორტუ-ბეირა მარი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4.19 |
| | 158 | პორტუ-ბეირა მარი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 01.00 | 159 | ვარზიმი-ბოავისტა | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1.52 |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 00.30 | 160 | მორეირენსე-სპორტინგი | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1.81 | 1.25 | 1,15 |

### პორტუგალია
### II ლიგა. XXIII ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 161 | ამადორა-ფარენსე | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1.25 | 2,03 |
| 19.00 | 162 | ლეიშოეში-შავეში | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1.39 | 1,29 | 1,39 |
| 19.00 | 163 | ლეცა-ოვარენსე | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 19.00 | 164 | მარკუ-რიო ავე | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 20.00 | 165 | მადეირა-სალგეიროში | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 20.00 | 166 | მაია-ნავალი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 20.00 | 167 | ფელგეირაში-ალვერკა | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| 20.00 | 168 | პორტიმონენსე-ავეში | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 20.00 | 169 | პენაფიელი-კოვილია | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

**ჰოლანდია. I დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**
**19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 170 | ექსელსიორი-როდა | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.00 | 171 | ფიტესე-ზვოლე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.00 | 172 | ალკმაარი-ბრედა | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. XXI ტური**
**21 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 173 | ნაიმეგენი-გრააფსხაპი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 174 | ნაიმეგენი-გრააფსხაპი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 175 | ექსელსიორი-როზენდაალი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 22.30 | 176 | როდა-ტვენტე | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 22.30 | 177 | პსვ-ბრედა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 178 | პსვ-ბრედა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.00 | 179 | ფიტესე-ალკმაარი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 16.00 | 180 | უტრეხტი-აიაქსი | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 17.30 | 181 | ფეიენოორდი-გრონინგენი | 1,25 | 5.0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 182 | ფეიენოორდი-გრონინგენი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 17.30 | 183 | ზვოლე-ვალვაიკი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |

**ბელგია. I დივიზიონი. XXIII ტური**
**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 202 | ვესტერლო-ლოკერენი | 2.6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 23.00 | 203 | ბევერენი-ბეერსხოტი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.00 | 204 | გენკი-შარლერუა | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| | 205 | გენკი-შარლერუა 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 23.00 | 206 | სტანდარდი-ლიერსი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 23.00 | 207 | მეხელენი-სტ.ტრუიდენი | 8,0 | 4,0 | 1,2 | 2,66 | 1,04 | 1 |
| 23.00 | 208 | ანდერლეხტი-მონსი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 16.00 | 209 | გენტი-ბრიუგე | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 18.00 | 210 | ლუვიერი-ლომელი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 211 | მესკრონი-ანტვერპენი | 3.5 | 3,2 | 2,0 | 1.67 | 1,27 | 1,23 |

**ჩეხეთი. XVII ტური**
**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.25 | 233 | ლიბერეცი-ბრნო | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 17.00 | 234 | ბოჰემიანსი-სლავია | 4,8 | 3,5 | 1.65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 17.00 | 235 | ზლინი-ჟიჟკოვი | 2,6 | 2,9 | 2,7 | 1.37 | 1,32 | 1,39 |
| 19.30 | 236 | პრიბრამი-იაბლონეცი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.30 | 237 | ჰ.კრალოვე-ბლშანი | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 19.30 | 238 | სიგმა-სინოტი | 2.0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.30 | 239 | ტეპლიცე-ბანიკი | 1,65 | 3,4 | 5,6 | 1,11 | 1,27 | 2,11 |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 19.40 | 240 | სპარტა-ბუდეიოვიცე | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 241 | სპარტა-ბუდეიოვიცე 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

**თურქეთი. XXI ტური**
**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 242 | ტრაბზონი-ადანა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 243 | ტრაბზონი-ადანა 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 15.30 | 244 | ქოჯაელი-ბურსა | 2.0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 15.30 | 245 | გოზთეპე-გენჩლერბირლიგი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 21.00 | 246 | გალათასარაი-მალათია | 1,25 | 5,0 | 10.0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 247 | გალათასარაი-მალათია 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 15.30 | 248 | ანკარაგუჯუ-ალთაი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 15.30 | 249 | გაზიანთეპი-ელაზიგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 250 | გაზიანთეპი-ელაზიგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 15.30 | 251 | ისთანბული-სამსუნი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 18.30 | 252 | დიარბაქირი-ბეშიქთაში | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 21.00 | 253 | დენიზლი-ფენერბაჩე | 3.5 | 3,2 | 2.1 | 1,67 | 1,31 | 1,26 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**
**19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 254 | მაზერველი-დანფერმლაინი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

**შოტლანდია. II დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**
**19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 256 | ბერვიკი-ჰამილტონი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |

**შოტლანდია. III დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
**19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 263 | ისტ სტირლინგი-მონტროუზი | 2.35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |

**ავსტრია. XXII ტური**
**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 270 | გრაცერი-ბრეგენცი | 1,65 | 3.4 | 5.0 | 1,11 | 1.24 | 2.02 |
| 18.30 | 271 | რაპიდი-ადმირა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20.15 | 272 | პაშინგი-რიდი | 1,8 | 3,2 | 4.2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 273 | კერნტენი-აუსტრია | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1.72 | 1,24 | 1,2 |

**პორტუგალია. თასი**
**V ეტაპი. 19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 274 | სპორტინგი-ჟოანე | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

**საბერძნეთი. თასი. ¼ ფინალი**
**I ეტაპი. 19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 275 | არისი-ეთნიკოსი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |

**შვეიცარია. თასი**
**1/16 ფინალი**
**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 285 | ივერდონი-ბაზელი | 5,6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |

**შვეიცარია. თასი**
**1/8 ფინალი**
**23 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 286 | ნატერსი-სტ.გალენი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 17.30 | 287 | შო დე ფონი-ქსამაქსი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2.02 | 1,22 | 1,12 |
| 17.30 | 288 | შაფჰაუზენი-თუნი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| 17.30 | 289 | ბადენი-ლუცერნი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 17.30 | 290 | კრიენსი-ვილი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 17.30 | 291 | ლუგანო-გრასჰოპერი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 17.30 | 292 | იანგ ბოიზი-დელემონი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |

**ჩემპიონთა ლიგა**
**II ჯგუფური ეტაპი. III მატჩები.**
**19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 297 | რეალი-დორტმუნდი | 1,45 | 3,8 | 7,5 | 1,04 | 1,21 | 2,52 |
| 23.45 | 298 | მილანი-ლოკომოტივი | 1,25 | 5,3 | 10,0 | 1,01 | 1,11 | 3,46 |
| 23.45 | 299 | ბაზელი-დეპორტივო | 3,3 | 3,2 | 2,15 | 1,62 | 1,3 | 1,28 |
| 23.45 | 300 | მანჩესტერი-იუვენტუსი | 2,0 | 3,1 | 3,8 | 1,21 | 1,31 | 1,7 |

**უეფას თასი. IV წრე. I ეტაპი.**
**20 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 301 | ჰერტა-ბოავიშტა | 1,55 | 3,6 | 6,0 | 1,08 | 1,23 | 2,25 |
| 22.30 | 302 | პანათინაიკოსი-ანდერლეხტი | 1.8 | 3,2 | 4,4 | 1,15 | 1,27 | 1,85 |
| 23.00 | 303 | სლავია-ბეშიქთაში | 2,2 | 3,1 | 3,3 | 1,28 | 1.32 | 1,59 |
| 23.45 | 304 | ოსერი-ლივერპული | 2,45 | 3,1 | 2,8 | 1,36 | 1,3 | 1,47 |
| 24.00 | 305 | ლაციო-ვისლა | 1,35 | 4,2 | 9,0 | 1,02 | 1,17 | 2,86 |
| 00.30 | 306 | მალაგა-აეკ | 1,75 | 3,3 | 4,6 | 1,14 | 1,26 | 1,92 |
| 00.30 | 307 | სელტიკი-შტუტგარტი | 2,1 | 3,2 | 3,4 | 1,26 | 1,29 | 1,64 |
| 01.00 | 308 | პორტუ-დენიზლი | 1,3 | 4.6 | 10,0 | 1.01 | 1,15 | 3,15 |

**ლიბერტადორესის თასი**
**19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.05 | 313 | უნივერს.კატოლიკა-სპორტ.კრისტალი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 04.10 | 314 | დეპორტივო კალი-რივერ პლეიტი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 04.40 | 315 | ფენიქსი-კორინთიანსი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 01.05 | 316 | ოლიმპია-კობრელოა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 01.30 | 317 | სანტოსი-12 დე ოქტუბრე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1.01 | 1.13 | 3,04 |
| 04.10 | 318 | ბოკა ხუნიორსი-ინდეპენდ.მედელინი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**
**21 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 621 | ვიტკოვიცე-ტრჟინეცი | 1,85 | 4,2 | 2,8 | 1,28 | 1,11 | 1,67 |
| 20.00 | 622 | ვსეტინი-ზლინი | 1,6 | 4,4 | 3,6 | 1,17 | 1,1 | 1,98 |
| 20.30 | 623 | პარდუბიცე-ზნოიმო | 1,5 | 4,8 | 3,8 | 1,14 | 1,07 | 2.12 |
| 20.30 | 624 | ლიტვინოვი-ჰავირჟოვი | 1,2 | 6,5 | 7,0 | 1,01 | 1,02 | 3,37 |
| 21.00 | 625 | ლიბერეცი-სპარტა | 3,0 | 4,4 | 1,75 | 1,78 | 1,1 | 1,25 |
| 21.00 | 626 | სლავია-პლზენი | 1,5 | 4,8 | 3,8 | 1,14 | 1,07 | 2,12 |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 627 | ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1.85 |

**ჰოკეი. გერმანია**
**20 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 636 | ჰამბურგი-დიუსელდორფი | 2,2 | 4,2 | 2,3 | 1,44 | 1,12 | 1,48 |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 637 | ნიურნბერგი-კიოლნი | 2,05 | 4,2 | 2,45 | 2,09 | 1,54 | 1,54 |
| 22.30 | 638 | კასელი-მანჰაიმი | 2,25 | 4,2 | 2,25 | 1,46 | 1,12 | 1,46 |
| 22.30 | 639 | აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,25 | 1,11 | 1,71 |
| 22.30 | 640 | ფრანკფურტი-იზერლონი | 1,85 | 4,2 | 2,8 | 1,28 | 1,11 | 1,67 |
| 22.30 | 641 | აისბერენი-შვენინგენი | 1,2 | 6,5 | 7,0 | 1,01 | 1,02 | 3.37 |
| 23.00 | 642 | კრეფელდი-ჰანოვერი | 1,6 | 4,4 | 3,6 | 1,17 | 1,1 | 1,98 |

**ჰოკეი. შვეიცარია**
**21 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 649 | ციურიხი-ფრიბურგი | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| 22.30 | 650 | დავოსი-ამბრი | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| 22.30 | 651 | ბერნი-სერვეტი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 22.30 | 652 | ლუგანო-კლოტენი | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,25 | 1,11 | 1,71 |

**ჰოკეი. ფინეთი**
**19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 677 | ესპოო-ილვესი | 1,25 | 6,0 | 6,0 | 1,03 | 1,03 | 3 |
| 20.30 | 678 | ლუკო-საიპა | 1,75 | 4,4 | 3,0 | 1,25 | 1,1 | 1,78 |

**კალათბურთი**
**საბერძნეთი**
**19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 742 | პანათინაიკოსი-ირაკლისი | 1,02 | 12,0 | 7,0 | 1 | 1 | 4,42 |
| 19.00 | 743 | პანიონიოსი-მარუსი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 19.00 | 744 | მაკედონიკოსი-ნიარ ისტი | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| 21.00 | 745 | იონიკოსი-პერისტერი | 1,5 | 12,0 | 2.2 | 1,33 | 1 | 1,85 |
| 23.00 | 746 | არისი-ლარისა | 1.1 | 12.0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 21.00 | 747 | ირაკლისი-ოლიმპიაკოსი | 2,6 | 12,0 | 1,35 | 2,13 | 1 | 1,21 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | |
| 23.45 | 2305 | რეალი-დორტმუნდი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2306 | მილანი-ლოკომოტივი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2307 | ბაზელი-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2308 | მანჩესტერი-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 21.15 | 2309 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1.95 |
| 23.45 | 2310 | ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1,8 | 1.8 |
| | | **20 თებერვალი** | | |
| 21.15 | 2311 | ჰერტა-ბოავიშტა | 1,8 | 1,8 |
| 22.30 | 2312 | პანათინაიკოსი-ანდერლეხტი | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2313 | სლავია-ბეშიქთაში | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2314 | ოსერი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 24.00 | 2315 | ლაციო-ვისლა | 1,85 | 1,75 |
| 00.30 | 2316 | მალაგა-აეკ | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2317 | სელტიკი-შტუტგარტი | 1,7 | 1,9 |
| 01.00 | 2318 | პორტუ-დენიზლი | 1,9 | 1,7 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | |
| 23.45 | 2205 | რეალი-დორტმუნდი | 1.95 | 1,65 |
| 23.45 | 2206 | მილანი-ლოკომოტივი | 2,0 | 1,6 |
| 23.45 | 2207 | ბაზელი-დეპორტივო | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2208 | მანჩესტერი-იუვენტუსი | 1,9 | 1.7 |
| 21.15 | 2209 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2210 | ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1,85 | 1,75 |
| | | **20 თებერვალი** | | |
| 21.15 | 2211 | ჰერტა-ბოავიშტა | 1,8 | 1,8 |
| 22.30 | 2212 | პანათინაიკოსი-ანდერლეხტი | 1,8 | 1,8 |
| 23.00 | 2213 | სლავია-ბეშიქთაში | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2214 | ოსერი-ლივერპული | 1,75 | 1,85 |
| 24.00 | 2215 | ლაციო-ვისლა | 1,95 | 1,65 |
| 00.30 | 2216 | მალაგა-აეკ | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2217 | სელტიკი-შტუტგარტი | 1,8 | 1,8 |
| 01.00 | 2218 | პორტუ-დენიზლი | 2.0 | 1,6 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | |
| 23.45 | 2405 | რეალი-დორტმუნდი | 1,3 | 3,4 |
| 23.45 | 2406 | მილანი-ლოკომოტივი | 1,15 | 4.4 |
| 23.45 | 2407 | ბაზელი-დეპორტივო | 2.1 | 1,75 |
| 23.45 | 2408 | მანჩესტერი-იუვენტუსი | 1,7 | 2.2 |
| 21.15 | 2409 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1,75 | 2.1 |
| 23.45 | 2410 | ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.5 | 2,6 |
| | | **20 თებერვალი** | | |
| 21.15 | 2411 | ჰერტა-ბოავიშტა | 1,4 | 3.0 |
| 22.30 | 2412 | პანათინაიკოსი-ანდერლეხტი | 1,6 | 2,4 |
| 23.00 | 2413 | სლავია-ბეშიქთაში | 1,75 | 2.1 |
| 23.45 | 2414 | ოსერი-ლივერპული | 1.85 | 1,95 |
| 24.00 | 2415 | ლაციო-ვისლა | 1,25 | 3.6 |
| 00.30 | 2416 | მალაგა-აეკ | 1,55 | 2,5 |
| 00.30 | 2417 | სელტიკი-შტუტგარტი | 1,7 | 2.2 |
| 01.00 | 2418 | პორტუ-დენიზლი | 1.2 | 4.0 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 2505 | რეალი-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 23.45 | 2506 | მილანი-ლოკომოტივი | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 2507 | ბაზელი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2508 | მანჩესტერი-იუვენტუსი | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 21.15 | 2509 | გლადბახი-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2,0 |
| 23.45 | 2510 | ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| | | **20 თებერვალი** | | | |
| 21.15 | 2511 | ჰერტა-ბოავიშტა | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 2512 | პანათინაიკოსი-ანდერლეხტი | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2513 | სლავია-ბეშიქთაში | 3.0 | 2.8 | 2,0 |
| 23.45 | 2514 | ოსერი-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 24.00 | 2515 | ლაციო-ვისლა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 00.30 | 2516 | მალაგა-აეკ | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 00.30 | 2517 | სელტიკი-შტუტგარტი | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 01.00 | 2518 | პორტუ-დენიზლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Ⅰ კორპუსი

პროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00-21.30
კვირა 12.00-20.30

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

22.02 18.30 2601 გერმანია ბლ. (XXII ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
22.02 16.00 2602 ინგლისი პლ. (XXVIII ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
22.02 21.00 2603 იტალია "A" (XXII ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
22.02 22.00 2604 ესპანეთი Iდ. (XXIII ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
22.02 20.15 2605 საფრანგეთი Iდ.(XXVIII ტური) 22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9
21.02 01.00 2606 პორტუგალია Iლ.(XXIII ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
22.02 23.00 2607 ბელგია Iდ. (XXIII ტური) 27 ან ნაკლები – 1,9, 29 ან მეტი – 1,9
22.02 15.30 2608 თურქეთი (XXI ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 თებერვალი | | | | | | | | | |
| 23.45 | 2105 | რეალი-დორტმუნდი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,4 | 12,0 | 25,0 | 11,0 | 11,0 |
| 23.45 | 2106 | მილანი-ლოკომოტივი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 2107 | ბაზელი-დეპორტივო | 5.0 | 10.0 | 20.0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 23.45 | 2108 | მანჩესტერი-იუვენტუსი | 3,0 | 10,0 | 20.0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,C | 5,6 |
| 21.15 | 2109 | მ.გლადბახი-ვოლფსბ. | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 23.45 | 2110 | ფულემი-ვ.ბრომვიჩი | 2.3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| | | 20 თებერვალი | | | | | | | | | |
| 21.15 | 2111 | პერტა-ბოავიშტა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 22.30 | 2112 | პანათინაიკ.-ანდერლ. | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.00 | 2113 | სლავია-ბეშიქთაში | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.45 | 2114 | ოსერი-ლივერპული | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 24.00 | 2115 | ლაციო-ვისლა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,6 | 15,0 | 30,0 | 14,0 | 14,0 |
| 00.30 | 2116 | მალაგა-აეკ | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 00.30 | 2117 | სელტიკი-შტუტგარტი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 01.00 | 2118 | პორტუ-დენისლი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I ტაიმის შედეგი | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 23.45 | 2005 | რეალი-დორტმუნდი | 1,75 | 2,4 | 6,0 | 1,01 | 1,35 | 1,71 |
| 23.45 | 2006 | მილანი-ლოკომოტივი | 1,4 | 3,4 | 8,0 | 1 | 1.19 | 2,38 |
| 23.45 | 2007 | ბაზელი-დეპორტივო | 3,6 | 2,1 | 2,6 | 1,32 | 1,5 | 1,16 |
| 23.45 | 2008 | მანჩესტერი-იუვენტუსი | 2,45 | 2.05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1.37 |
| 21.15 | 2009 | გლადბახი-ვოლფსბურგი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 23.45 | 2010 | ფულემი-ვესტ ბრომვიჩი | 2.05 | 2,15 | 5,6 | 1.04 | 1.5 | 1.55 |
| | | 20 თებერვალი | | | | | | |
| 21.15 | 2011 | პერტა-ბოავიშტა | 1.9 | 2,25 | 5.6 | 1,03 | 1,41 | 1.6 |
| 22.30 | 2012 | პანათინაიკოსი-ანდერლეხტი | 2,15 | 2,1 | 5,3 | 1,06 | 1.52 | 1,5 |
| 23.00 | 2013 | სლავია-ბეშიქთაში | 2.7 | 2,05 | 3,6 | 1.16 | 1,54 | 1,3 |
| 23.45 | 2014 | ოსერი-ლივერპული | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 24.00 | 2015 | ლაციო-ვისლა | 1,6 | 2,7 | 7,0 | 1 | 1,3 | 1,94 |
| 00.30 | 2016 | მალაგა-აეკ | 2,15 | 2,1 | 5,3 | 1,06 | 1,52 | 1.5 |
| 00.30 | 2017 | სელტიკი-შტუტგარტი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 01.00 | 2018 | პორტუ-დენისლი | 1,5 | 3,0 | 7,5 | 1 | 1,25 | 2.14 |

### უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა
20 თებერვალი

21.15 2701 პერტა-ბოავიშტა ---------------- 1,4 ------------------------- 2,4
22.30 2702 პანათინაიკოსი-ანდერლეხტი - 1,7 ------------------------- 1,9
23.00 2703 სლავია-ბეშიქთაში ------------- 2,0 ------------------------- 1,6
23.45 2704 ოსერი-ლივერპული ------------- 2,6 ------------------------- 1,35
24.00 2705 ლაციო-ვისლა ----------------- 1,1 ------------------------- 5,0
00.30 2706 მალაგა-აეკ -------------------- 1,5 ------------------------- 2,2
00.30 2707 სელტიკი-შტუტგარტი ---------- 1,8 ------------------------- 1,8
01.00 2708 პორტუ-დენისლი -------------- 1,1 ------------------------- 5,0

# ჩემპიონობა და თასის აღება

### უეფას თასი
20 თებერვალი (21.15)

| | | |
|---|---|---|
| 021 | ლაციო | 3,0 |
| 022 | ლივერპული | 3.0 |
| 023 | პერტა | 8.0 |
| 024 | პორტუ | 10.0 |
| 025 | სელტიკი | 10,0 |
| 026 | მალაგა | 10,0 |
| 027 | პანათინაიკოსი | 15.0 |
| 028 | ოსერი | 15,0 |
| 029 | შტუტგარტი | 15,0 |
| 030 | ანდერლეხტი | 15.0 |
| 031 | აეკ | 15.0 |
| 032 | ბეშიქთაში | 20,0 |
| 033 | სლავია | 30,0 |
| 034 | ბოავიშტა | 30.0 |
| 035 | დენისლი | 50,0 |
| 036 | ვისლა | 50,0 |

### გერმანია. ბუნდესლიგა
22 თებერვალი (18.30)

| | | |
|---|---|---|
| 041 | ბაიერნი | 1,01 |
| 042 | დორტმუნდი | 8,0 |

### ინგლისი. პრემიერლიგა
22 თებერვალი (16.00)

| | | |
|---|---|---|
| 051 | არსენალი | 1,4 |
| 052 | მანჩესტერი | 2,4 |
| 055 | ნიუკასლი | 15,0 |

### იტალია. სერია A
22 თებერვალი (21.00)

| | | |
|---|---|---|
| 061 | მილანი | 2,4 |
| 062 | ინტერი | 2,5 |
| 063 | იუვენტუსი | 2,5 |
| 064 | ლაციო | 6.0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი
22 თებერვალი (22.00)

| | | |
|---|---|---|
| 071 | რეალი | 1,35 |
| 072 | სოსიედადი | 2,4 |
| 073 | ვალენსია | 4,0 |
| 074 | დეპორტივო | 9,0 |
| 075 | სელტა | 50,0 |
| 076 | ბეტისი | 50,0 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი
22 თებერვალი 20.15

| | | |
|---|---|---|
| 082 | ლიონი | 2,5 |
| 081 | მარსელი | 3,2 |
| 083 | მონაკო | 3,2 |
| 084 | ოსერი | 4,4 |
| 089 | ბორდო | 7,0 |
| 085 | პსჟ | 8,0 |
| 086 | ნიცა | 9,0 |
| 087 | ლანსი | 10,0 |
| 088 | ნანტი | 10,0 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი
22 თებერვალი (22.30)

| | | |
|---|---|---|
| 101 | პსვ | 1.35 |
| 102 | აიაქსი | 2,5 |

### საბერძნეთი. I დივიზიონი
22 თებერვალი (18.00)

| | | |
|---|---|---|
| 121 | ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| 122 | პანათინაიკოსი | 1,9 |
| 123 | პაოკ | 7,0 |
| 124 | აეკ | 12,0 |

### ჩეხეთი
23 თებერვალი (17.00)

| | | |
|---|---|---|
| 191 | სპარტა | 1,3 |
| 192 | სლავია | 2,5 |

### პოლონეთი.
7 მარტი (23.00)

| | | |
|---|---|---|
| 196 | ვისლა | 1,25 |
| 197 | ლეგია | 3,0 |
| 198 | კატოვიცე | 5,0 |
| 199 | ოდრა | 8,0 |

### თურქეთი. I ლიგა
22 თებერვალი (15.30)

| | | |
|---|---|---|
| 131 | გალათასარაი | 2,3 |
| 132 | ბეშიქთაში | 1,4 |
| 133 | ფენერბაჩე | 10,0 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა
22 თებერვალი (16.30)

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,5 |
| 142 | სელტიკი | 2,1 |

### დანია. სუპერლიგა
16 მარტი (18.00)

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,05 |
| 152 | ბრიონდბიუ | 4,0 |
| 153 | ოლბორგი | 10,0 |

### შვეიცარია. A ლიგა
22 თებერვალი (19.00)

| | | |
|---|---|---|
| 161 | ბაზელი | 1,6 |
| 162 | გრასჰოპერი | 2,0 |

### ჰოკეი. NHL. სტენლის თასი
1 მარტი (24.00)

| | | |
|---|---|---|
| 201 | დეტროიტი | 3,5 |
| 202 | დალასი | 4,0 |
| 203 | ფილადელფია | 5,0 |
| 204 | ბოსტონი | 6,0 |
| 205 | ნიუ ჯერსი | 7,0 |
| 206 | კოლორადო | 8,0 |
| 207 | ოტავა | 8,0 |
| 208 | ვანკუვერი | 12,0 |
| 209 | სენტ ლუისი | 12,0 |
| 210 | ტამპა ბეი | 15,0 |
| 211 | მინესოტა | 15,0 |
| 212 | ტორონტო | 20,0 |
| 213 | კაროლინა | 20,0 |
| 214 | ლოს ანჯელესი | 20,0 |
| 215 | ვაშინგტონი | 30,0 |
| 216 | სან ხოსე | 30,0 |
| 217 | მონრეალი | 40,0 |
| 218 | ანაჰაიმი | 50,0 |
| 219 | პიტსბურგი | 50,0 |
| 220 | ჩიკაგო | 50,0 |
| 221 | ედმონტონი | 50,0 |
| 222 | რეინჯერსი | 100,0 |
| 223 | ფლორიდა | 150,0 |
| 224 | აილენდერსი | 150,0 |
| 225 | ფინიქსი | 200,0 |
| 226 | კოლუმბუსი | 200,0 |
| 227 | კალგარი | 300,0 |
| 228 | ბუფალო | 300,0 |
| 229 | ატლანტა | 500,0 |
| 230 | ნეშვილი | 500,0 |

### კალათბურთი
NBA. თასი
1 მარტი (24.00)

| | | |
|---|---|---|
| 231 | დალასი | 3,0 |
| 232 | საკრამენტო | 3,0 |
| 233 | ლეიკერსი | 4,0 |
| 234 | ნიუ ჯერსი | 10,0 |
| 235 | ინდიანა | 10,0 |
| 236 | სან ანტონიო | 10,0 |
| 237 | ფილადელფია | 15.0 |
| 238 | ბოსტონი | 15.0 |
| 239 | ორლანდო | 25,0 |
| 240 | ნიუ ორლეანი | 25,0 |
| 241 | დეტროიტი | 25,0 |
| 242 | პორტლენდი | 35,0 |
| 243 | ჰიუსტონი | 35,0 |
| 244 | მინესოტა | 50,0 |
| 245 | სიეტლი | 50,0 |
| 246 | ფინიქსი | 75,0 |
| 247 | მილუოკი | 75,0 |
| 248 | იუტა | 75,0 |
| 249 | ატლანტა | 100,0 |
| 250 | ვაშინგტონი | 100,0 |
| 251 | ტორონტო | 150,0 |
| 252 | ნიუ იორკი | 150,0 |
| 253 | კლიპერსი | 150,0 |
| 254 | მაიამი | 200,0 |
| 255 | ჩიკაგო | 500,0 |
| 256 | გოლდენ სტ. | 999,0 |
| 257 | მემფისი | 999,0 |
| 258 | დენვერი | 999,0 |
| 259 | კლივლენდი | 999,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ბენეტონელ მანუჩარ მარკოიშვილს საკუთარ თავზე ზედმეტი ლაპარაკი რომ არ უყვარს, ეს მის ყველა ინტერვიუში იგრძნობა. მანუჩარს აეკ-თან საევროლიგო მატჩისას საიმედოდ ამოუკეტავს ბერძენთა 17 წლის იმედი ნიკოლაოს ზისისი, ვის სანახავადაც ტრევიზოში ნბა-ს 22 სკაუტი ჩასულა. „მემფის გრიზლიზის“ სახელგანთქმულ პრეზიდენტს, ნბა-ს ემბლემა ჯერი ვესტს, რომელიც ასევე ზისისის შესათვალიერებლად სტუმრობდა იტალიას, მატჩის შემდეგ „ბენეტონის“ ერთ-ერთი მწვრთნელის პირით კომპლიმენტი შეუთვლია მარკოიშვილისთვის. არადა, მანუჩარს ბოლო ინტერვიუში ჩვენთვის არაფერი უთქვამს ამის თაობაზე, პირიქით საკუთარ შეცდომებზე უფრო ლაპარაკობდა.
ეს ამბები ეგებ ვერც შეგვეტყო, რომ არა ბათუმის „ბასკოს“ მთავარი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი, რომელიც იმ დღეებში „ბენეტონს“ სტუმრობდა თავის ორ შეგირდთან, გიორგი ცინცაძესა და ნიკა ჩხატარაშვილთან ერთად. კანდელაკი იტალიურ ამბებზე გვესაუბრება...



ნაღდ ბენეტონელს მანუჩარ მარკოიშვილს (შუაში) ტრევიზოში იქნებ მომავალმა ბენეტონელებმა ნიკა ჩხატარაშვილმა და გიორგი ცინცაძემ ჩაკითხეს

# კარგი ანბავი

# ეს ბიჭი კარგად თამაშობს ჯერივესტულად

— ტრევიზოში ორ ახალგაზრდა ბასკოელთან ერთად ჩახვედით, თუმც გავიგეთ, „ბენეტონთან“ სხვა საქმეებიც გაკავშირებთ...

— ბენეტონელებთან უფრო მჭიდრო კავშირები გვაქვს, ვიდრე მათ გუნდში ჩვენი კალათბურთელების გადასვლაა. გვაინტერესებს, რა პირობებში ვარჯიშობენ ტრევიზოელები, როგორი ინფრასტრუქტურა აქვთ, რაზე ამახვილებენ ყურადღებას... მოკლედ, გვსურს, უფრო ახლოს გავიცნოთ მათი მუშაობის სტილი. ამავდროულად ბენეტონელებს „ბასკოს“ ახალთაობას ვაცნობთ.

— **სამაგალითოს ბევრს ნახავდით...**

— ტრევიზოში რაც ვნახე, ყველაფერი სამაგალითოა. უპირველესად — დისციპლინა. „ბენეტონი“ ყოველნაირად მოწესრიგებული, დიდი ტრადიციების გუნდია. იქ უდიდეს ყურადღებას უთმობენ ბავშვთა აღზრდას. ტრევიზოელებს ალბათ ყველაზე კარგი საკალათბურთო სკოლა აქვთ ევროპაში. ამ სკოლაში მხოლოდ კალათბურთის თამაშს არ ასწავლიან, პიროვნების ჩამოყალიბებასაც დიდ ყურადღებას აქცევენ. იქაურთა აზრით, კალათბურთელს უპირველესად კარგი თამაში მოეთხოვება და არა მოედანზე მატრაკვეცობა. ამიტომაცაა, რომ ვერც ერთ ბენეტონელს სვირინგს ან შეღებილ თმას ვერ უნახავთ. ყველა ნიუანსს აკვირდებიან. ამას წინათ ერთ კალათბურთელს თმა გადაუღებავს. გუნდის ხელმძღვანელებს ვარჯიშიდან პირდაპირ დალაქთან გაუქანებიათ და გადაუპარსავთ.

განსაკუთრებული გულდასმით აკონტროლებენ მოთამაშეთა კვებასა და ჯანმრთელობას. „ბენეტონს“ რამდენიმე ექიმი ჰყავს, რომლებიც ყოველდღიურად ამოწმებენ კალათბურთელთა ფიზიკურ მზადყოფნას. ჩვენი ბიჭებიც თავიდან ფეხებამდე გასინჯეს, მრავალი ტესტი ჩაუტარეს და მხოლოდ ამის შემდეგ ავარჯიშეს.

— **როგორ ჩაიარა ვარჯიშებმა?**

— ცინცაძე და ჩხატარაშვილი ძირითადად „ბენეტონის“ ახალგაზრდულ გუნდთან ვარჯიშობდნენ, ბოლოს კი ორჯერ პირველ გუნდთანაც ივარჯიშეს. მათ ბენეტონელთა თავკაც ეტორე მესინას მოწონება დაიმსახურეს.

— **ვარჯიშებს, ალბათ, თქვენც ესწრებოდით...**

— ვესწრებოდი და ჩემთვის საინტერესო მომენტებიც ჩავინიშნე. ცინცაძისა და ჩხატარაშვილის დიდ გუნდთან ვარჯიშს ტრიბუნიდან ვადევნე თვალი. მათ ევროპის ვარსკვლავები დიდი მონდომებით ასწავლიდნენ სწორ მოძრაობას, სროლას. არაფრით აგრძნობინებდნენ მათ შორის კლასში არსებულ უდიდეს სხვაობას, მეგობრულად ეპყრობოდნენ.

— **რამდენად რეალურია მომავალში მათი „ბენეტონში“ თამაში?**

— იტალიელებმა, ცხადია, სათავისო დასკვნები გამოიტანეს, რომელიც მე არ გამანდეს. ჩემი აზრით, ჩვენს ბიჭებს თავი არაფრით შეურცხვენიათ და არც ის უნდა გავიკვირვოთ, მომავალში ტრევიზოელებმა მათი შემატება რომ გადაწყვიტონ.

— **თქვენს ყოფილ შეგირდზეც ვთქვათ. მანუჩარ მარკოიშვილზე რა აზრის არიან „ბენეტონში“?**

— მანუჩარი ყველას უყვარს. მისით უკმაყოფილო კაცი ტრევიზოში არ მინახავს. მარკოიშვილს პირველ რიგში იცნობენ პატიოსან და გაწონასწორებულ პიროვნებად. ის თავისი ზრდილობით სამაგალითოა გუნდში. რაც შეეხება თამაშს, მე რომ ვნახე, გამორიცხულია, მისით ვინმე უკმაყოფილო დარჩენილიყო. აეკ-თან საევროლიგო მატჩში მანუჩარმა მშვენიერად ითამაშა. მეურვეობდა ნიკოლაოს ზისისს, რომლის საქმეში სანახავადაც 22 ამერიკელი იყო ტრევიზოში ჩამოსული. 18 წუთის მანძილზე, რაც მანუჩარი მოედანზე იყო, ზისისმა დიდი ვერაფრით გამოიჩინა თავი, შეიძლება ითქვას, „მანომ“ ის ამოკეტა... თამაშის შემდეგ მანუჩართან მოვიდა ბენეტონის ერთ-ერთი მწვრთნელი და „მემფისის“ პრეზიდენტ ჯერი ვესტს მოეწონეო, უთხრა. ვესტიც ზისისის გამო ესწრებოდა ამ მატჩს.

— **მიუხედავად ამისა, მარკოიშვილს თითქმის არ ათამაშებენ იტალიის ჩემპიონატში...**

— ეს არაევროკავშირელთა ლიმიტის გამოა. მანუჩარი კონკურენციას ვერ უწევს სხვა უცხოელებს, რომელთაგან ხორვატი კრესიმირ ლონჩარი წლეულს ნბა-ში მიდის. მარკოიშვილი ახალგაზრდაა და ჯერაც ბევრი აქვს სასწავლი. მთავარია, რომ მისი პროგრესი თვალსაჩინოა, რაც მომავლის იმედს იძლევა.

— **ტრევიზოელები რას ამბობენ მათი გუნდიდან შარშან ნბა-ში წასულ ნიკა ცქიტიშვილზე?**

— ჩემს იქ ყოფნას სწორედ ის პერიოდი დაემთხვა, ნიკამ 17 ქულა რომ ჩაუგდო „ლეიკერსს“. რა თქმა უნდა, ყველას ძალიან გაუხარდა, ამბობენ, ცქიტიშვილის ვარსკვლავი მომავალში ამობრწყინდებაო. სხვათა შორის, ტრევიზოში იყო „დენვერის“ ერთ-ერთი სკაუტი, რომელმაც ნიკასთან გაშლილი საახალწლო სუფრის ამბები მოგვითხრო.

— **ბოლოს იმ ტურნირზე გკითხავთ, რომლის გამართვასაც „ბასკო“ აპირებს და რომელშიც შესაძლოა ბენეტონელებმაც მიიღონ მონაწილეობა...**

— ეს გუნდის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია და საორგანიზაციო საკითხებსაც ალბათ უფროსობა მოაგვარებს. მესინასთან ამაზე არ მისაუბრია. ძირითადად პროფესიულ საკითხებზე, სავარჯიშო პროგრამებზე ვილაპარაკეთ.

**ირაკლი კერტაია**

# 40 დღეს მაიკლის დღეობაა!

## ხაჭაპური არ გამოცხვა

17 თებერვალი

**დეტროიტი 93:62 მაიამი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (7), ჰამილტონი (34), კარი (11), რობინსონი (15), ვოლესი (4 ქულა, 19 მოხსნა); უილიამსონი (8), ბერი (6), დევისი (3), პრინსი (1), ოქური, მენინგი

**მაიამი:** ბესტი (2), ჰაუსი (6), კ. ბატლერი (13), ალენი (6), გრანტი (6); რ. ბატლერი (10), სტეფანია (26 წუთი, 7 ქულა, 9 მოხსნა), მარქსი (5), კარტერი (4), ჯეიმსი (2), ელისი (1)

**იუტა 109:97 მინესოტა**

**იუტა:** მელოუნი (28), ჰარპრინგი (21), სტოქტონი (18 ქულა, 11 პასი)

**მინესოტა:** გარნეტი (34 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ჰადსონი (21)

**პორტლენდი 99:91 ნიუ იორკი**

**პორტლენდი:** ვოლესი (23), ანდერსონი (14)

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (27), ტომასი (19 ქულა, 12 მოხსნა)

„მაიამი ჰითს“ არ ულხინს შეტევაში. ეს ნიჭნაკლული გუნდი ბოლო ხანს ყოველთვის გრძნობს ქულების უკმარისობას. გუშინწინ „დეტროიტთან“ ეს უკმარისობა განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობოდა.

„დეტროიტთან“ საერთოდ ჭირს შეტევის გაშლა, თან „მაიამის“ იმ დღეს აკლდა ერთადერთი კარგი მექულე, ედი ჯონსი, ვისაც საზარდული დაუჭიმია და აგერ, მესამე თამაშია, „მაიამს“ აკლია. მის არყოფნაში პატ რაილის ბიჭებმა შეტევაც ჩააფლავეს და დაცვაც. ჯონსის ამპლუის (მსროლელი) დეტროიტელმა მოთამაშემ რიჩი ჰამილტონმა 34 ქულა სულ იოლად საუგდო „ჰითს“ და თან ამას მხოლოდ 28 წუთი მოანდომა. სხვა დეტროიტელები ძირითადად დაცვითი ფუნქციებით დაკავებულიყვნენ (არც შეტევაში აკლებდნენ ხელს) და ყოველმხრივ შეზღუდულმა „მაიამიმ“ თამაში 62 ქულით დაასრულა, მეტოქეზე 31 ქულით ნაკლებით.

„ჰითის“ მწვრთნელმა პატ რაილიმ განადგურება ჯონსის არყოფნით ახსნა. „ჩვენ სწორედ ედის პოზიციაზე ჩავვივარდა თამაში. ჰამილტონი ძალიან მაღალია (201 სანტიმეტრი) და არც სისწრაფე აკლია. მისი გუნდი ახერხებდა და მას დაბალი ოპონენტის პირისპირ ტოვებდა. არაფერი გვეთქმის, რიჩარდმა პირწმინდად დაანგრია ჩვენი დაბლები.“

თავი არ შეურცხვენია „მაიამის“ ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას. მისი 7 ქულა და 9 მოხსნა საპატიო მონაგარია სუსტი გუნდის სათადარიგო მოთამაშისთვის, თუმც იმდენ ვერაა, მატჩში რაიმე გადაწყვიტოს. მაინც აღვნიშნავთ, რომ მისი 9 მოხსნა ყველაზე მეტია „მაიამიში“. მალიქ ალენს 8 მოუგროვდა. მთლიანად „მაიამიმ“ კი 36:51 დათმო ფარი, რაც იმასაც ნიშნავს, რომ „ჰითმა“ პერიმეტრთან ერთად ფარქვეშაც წააგო ბრძოლა.

მორიგი პრინციპული ბრძოლა მოიგო ბებრების „იუტა ჯაზმა“. „ჯაზი“ შინ ხვდებოდა ცხრილში ახლო მეზობელ „მინესოტას“, რომელსაც მანამდე ზედიზედ 6 თამაში მოეგო და დასავლეთის მოწინავე ოთხეულში მოხვედრაზე პრეტენზიას აცხადებდა.

39 წლის იუტელი თავდამსხმელი კარლ მელოუნი ახალგაზრდული შემართებით შეება გამოცდილ, მაგრამ ჯერაც ახალგაზრდა მინესოტელს, კევინ გარნეტს და მასთან ჭიდილში 28 ქულა, 9 მოხსნა და 6 პასი გაძარცვა. მისმა ძველმა დოსტმა ჯონ სტოქტონმაც არ შეირცხვინა თავი, 18 ქულა და 11 პასი ურიგო შედეგი არაა 41 წლის გამთამაშებლისგან. სტოქტონი ყველა ბიო-ფიზიოლოგიური კანონით ახლა 3-4 წლის პენსიონერი უნდა იყოს და ტროი ჰადსონისა და სხვა ეგეთი სისხლსავსე ჯეელების დევნის ნაცვლად შინ უნდა იჯდეს და შვილების აღზრდით იყოს დაკავებული.

„ამიტომაც თვლიან მათ ლეგენდებად, რომ ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდებიან და ხშირად აღემატებიან კიდეც. ისინი ჯერაც ხაშიში მეტოქეები არიან“ — ამბობს „იუტას“ წყვილ მოხუცზე ერთ-ერთ მათგანთან ნაჭიდავები (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) მინესოტელი კევინ გარნეტი.

დღის მესამე შეხვედრაზე მოსათხრობი ბევრიც არაფერი გვაქვს. იმას თუ შევნიშნავთ, რომ „პორტლენდის“ მოხუცმა ლიტველმა ცენტრმა არვიდას საბონისმა 21 წუთი ირბინა და 10 ქულა მიაშველა თავისიანებს.

17 თებერვალს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კიდევ ერთი თამაში უნდა ჩატარებულიყო, „ვაშინგტონი“ შინ უნდა შეხვედროდა „ტორონტოს“, მაგრამ ეს შეხვედრა 4 მარტისთვის გადაიდო. ასეთი რამ ნბა-ში ძალზე იშვიათად ხდება, მხოლოდ ექსტრემალურ ვითარებაში თუ ცვლიან მატჩის ჩატარების თარიღს. ახლაც ვაშინგტონური მატჩი და საერთოდ ცხოვრება მძიმე ბუნებრივმა პირობებმა შეაფერხა. ამ კვირადღეს ცამ პირი მოხსნა და შტატების დედაქალაქს დიდი თოვლი მოუვლინა. თეთრი საფარის სისქემ ზოგან მეტრნახევარს მიაღწია. შედეგად ჩაიხერგა გზები, შეფერხდა ტრანსპორტი და დედაქალაქი მოსწყდა თავის ქვეყანას.

თამაშის გადადებამ ყველაზე მეტად „ვაშინგტონ ვიზარდსის“ მხცოვან ლიდერ მაიკლ ჯორდანს დასწყვიტა გული. მან სურდა, თავისი დაბადების დღე მოედანზე გაეტარებინა — 17 თებერვალს მის უდიდებულესობა მაიკლ ჯორდანს, ყველა დროის ყველაზე მაგარ კალათბურთელს, 40 წელი შეუსრულდა.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS

ვლადიმერ სტეფანია დეტროიტელ მეჰმედ ოქურს აელობა



ლევან მოსეშვილისგან 200 დოლარს ელიან

# 900-დოლარიანი ჩხუბი ვერაზე

„აკადემია“ — „დინამოს“ საკვირაო მატჩში მომხდარმა ჩხუბმა ფედერაციის სალარო 900 დოლარით შეავსო. დისციპლინარებმა აწონ-დაწონეს მომხდარი და სამი დინამოელი დააჯარიმეს.

შეგახსენებთ, რომ ამ მატჩის ბოლო მეოთხედში „დინამოს“ ლიტველ ლეგიონერ ტომას ვენსკუნასსა და აკადემიელ რევაზ ათანელაშვილს შელაპარაკება მოუვიდათ, რაც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა.

დისციპლინარებმა ამ შეხლაში ათანელაშვილის ბრალი ვერ დაინახეს, პირველმა ლიტველმა მოიქნია ხელიო და ვენსკუნასს სამთამაშიან დისკვალიფიკაციასთან ერთად 500-დოლარიანი ჯარიმაც გამოუწერეს. ორას დოლარს გადაიხდის დინამოელი ირაკლი ხოშტარიაც. მსაჯის თქმით, აყალმაყალში ხოშტარიას უკნიდან ჩაურტყამს რომელიღაც აკადემიელისთვის.

თუმც მხოლოდ მუშტების მქნევლები როდი დაისაჯნენ. მსაჯის შეურაცხყოფისთვის ერთ თამაშს გამოტოვებს „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი, თან ფედერაციის ხაზინაში 200 დოლარს გადარიცხავს. მოსეშვილი მსაჯ ზაზა მაჩალაძეს თურმე იმას ელავებოდა, ვენსკუნასი რატომ გააძევეო.

# საწყალი ტაისონი მართლა გაგიჟდა!



**როცა მაიკ ტაისონი** რაიმეს წამოიწყებს, არეულობაც იქვეა.

დიდი ხნის გამოცხადებული კრივი რკინის მაიკსა და კლიფორდ ეტიენს შორის გადაიდო, სახალხო მიზეზად ტაისონის გაციება და სურდოა გამოცხადებული.

„ვწუხვარ, რომ ასე გამოვიდა, — თქვა ტაისონმა — ძალიან კარგად ვარ მომზადებული და არ მინდა, სურდოთი შევიშალო ხელი. ბოლო ხუთი დღეა, გავცივდი. ცოტა მაცალეთ და ბრძოლის დღესაც გამოვაცხადებ". ტაისონ — ეტიენი ამ შაბათს უნდა გამართულიყო მემფისის „პირამიდ არენაზე" და მისმა გადადებამ, ცხადია, გამოაღვიძა ეჭვები, რომ ტაისონს ჩხუბი არც უნდა და არც შეუძლია.

კრივის მომწყობი „შოუთაიმის" კანტორა აცხადებს, რომ ამ წუთისთვის ვერ მოუფიქრებია ტაისონ — ეტიენის ბრძოლის ახალი თარიღი, თუმცა ვერ შეცვლის უკვე გამოცხადებულ ტაისონ — ლენოქს ლუისის დიდი ორთაბრძოლის თარიღს.

ამბობენ, რომ ტაისონმა ახლა მარცხენა ლოყაზე ამოისვირინგა დიდი ნახატი. მაიკის მენეჯერი შელი ფინკელი გასულ კვირაში ლას ვეგასს ჩაფრინდა და იქ მოვარჯიშე ტაისონი ნახა. მისი გადმოცემით, მაშინ ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ კვირას ტაისონი მემფისში არ ჩაფრინდა, ორშაბათს კი ავადმყოფობის შესახებ ამცნო „შოუთაიმს".

„შოუთაიმი" გვარიანი ზარალის წინაშე დგას, რახან ტაისონ — ეტიენის გარშემო მრავალი სარფიანი შოუ, იმათ შორის კი სუპერ ჯეი-ზეტის კონცერტი იყო დაგეგმილი. თავად ბრძოლაზე კი უკვე 10 ათასი ბილეთი იყო გაყიდული.

სინამდვილეში კი ტაისონი წვინტლიანობას კი არ შეუწუხებია, გონება აერია.

ეს იქიდან ირკვევა, რომ შაბათს მისი ლასვეგასური ბანაკი მიუტოვებიათ მწვრთნელ ფრედი როუჩს და მის თანაშემწეს ჯეფ ფენეჩს.

როუჩი ამბობს, რომ მაიკმა თავისი ხასიათით ჯვარს აცვა ორი თვის განმავლობაში, ხოლო წინა კვირაში ლოყა ამოისვირინგა და ვარჯიშს თავი ანება.

„ის ასეთი პიროვნებაა. მისი კარგი თვისებები დიდებულია, ცუდი თვისებები კი საშინელი", თქვა როუჩმა. მისი აზრით, ტაისონმა მას შემდეგ აიყარა გული ვარჯიშზე, რაც შეიტყო, რომ ეტიენთან ბრძოლის ჰონორარი გაუნახევრეს.

„თუ მეტყვის, რომ მას ვარჯიში და ბრძოლა უნდა, მასთან გავჩნდები", უთხრა როუჩმა ჟურნალისტებს.

ამავე დროს, საიდანღაც ამოტივტივდა ტაისონის სიტყვები: „როცა ვინმეს ვუყვარვარ, მსურს ვატკინო მას. მე ყველას წინააღმდეგი ვარ. მკურნალობა მჭირდება. ჩემი მკურნალობა ხალხის ყბების მტვრევაა".

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# ლაბაძეს პატარა ბიჭი შემოელახა

**ABN AMRO WORLD TENNIS TOURNAMENT**

როტერდამი. ჰარდი

საპრიზო 800 ათასი $

მეორე წრე

**იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ალექს კორეჩა (7, ესპანეთი) 6:4, 6:0; **სხენგ შალკენი** (8, ჰოლანდია) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:3, 6:3; **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 6:1; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:4, 6:2; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:7 (7:5), 7:6 (7:5), 6:4

ამ კვირაში მიმდინარე ტურნირთაგან უძლიერესი სწორედ როტერდამულია. იქ საპრიზო ფონდადაც უყვრო დიდი თანხა დაუთქვამთ და, შესაბამისად, ხანოვნადაც უმეტესი შემსრულებლები უწვევიათ. იქაური მადლიერი პუბლიკა, სხვა, მეტ-ნაკლებად სახელიან მეჩოგნეთა გარდა ხუან კარლოს ფერეროს (1), გასულ უქმეებზე მარსელში ნაჩემპიონარ როჯერ ფედერერს (2), მაჯამოკვეთებულ მარატ საფინს (3), ალ კოსტას (4), ნოემბრის შემდეგ უთამაშებელ ტიმ ჰენმანსა (5) და სებასტიან გროჟანსაც (6) იხილავს. თუმცა ესენი საქმეში მოგვიანებით ჩაერთვებიან, პირველ დღეს კი განთესილთაგან მხოლოდ ალექს კორეჩა (7) და ადგილობრივთა ჯილი სხენგ შალკენი (8) გაირჯნენ.

კორეჩას სა-ATP-ო მატჩი შარშანდელი ოქტომბრის შემდეგ აღარ მოუგია და ახის გაკეთება ვერც ცაცია ფინელ ნიემინენთან მოახერხა. ნიემინენმა ის გლავჯურა მოწოდებებით შეავიწროვა და სეტისწაუგებლად, საათსა და ორ წუთში მოაშთო. ჯიშად მეთიხნარე კორეჩა ნამატჩევს მარცხის მიზეზად იქაური სწრაფსაფარიან შეუგუებლობას ასახელებდა. ალბათ გახსოვთ, წინისწინა პარასკევ-უქმეებზე წლევანდელი დევისთასის პირველ წრეში ესპანელებმა შინ 5:0 სძლიეს ბელგიელებს და კორეჩამ მშობლიურ თიხნარზე ლისტ კოსტასთან ერთად წყვილად ითოგნავა.

რაც შეეხება შალკენს, შარშანდელისგან განსხვავებით (როცა კორტიდან პირველსავე წრეში აბარგეს), შინაური ტიტულისთვის ბრძოლა მან წარმატებით დაიწყო. პირველ წრეში ის კრისტოფ როხუსს მიუხია და მეოთხედფინალში მისაზვლრად კრისტოფის ძმასთან, ოლივიესთან რკენა მოუწევს.

„ვიცი, რომ ჰოლანდიელები ჩემგან მხოლოდ გამარჯვებას ელიან — ამბობდა მერე მსოფლიო კლასიფიკაციის მე-19 მდგომი შალკენი — მაგრამ აქ ბევრი კარგი მოთამაშე შეიკრიბა, ასე რომ გამარჯვება ძალზედ ძნელი იქნება... როხუსები ერთი მეორის მიყოლებით შარშანწინაც მძლევია. ოლივიე უფრო აგრესიულია, მაგრამ ძმის მსგავსად მასაც სუსტი მოწოდება აქვს, ვფიქრობ, რომ ჩვენი შეხვედრის ბედსაც სწორედ ეგ ამბავი გადაწყვეტს."

თავად ოლივიემ კი იმ დღეს ავსტრიელ კუბეკს აჯობა. კუბეკმა ადრეთანვარში დოჰას ტურნირზე კი გაიღვა, მაგრამ იქვე ნეკნის ტრავმა მიიღო და კორტს მხოლოდ წინა კვირაში მიუბრუნდა.

ჰო, მართლა — ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ფრანგი ნიკოლა ესკუდე გახლავთ, ვინაც, ეგებ გახსოვდეთ, მაშინ ფინალში ბრიტ ტიმ ჰენმანს აჯობა.



REUTERS ბუენოს აირესიდან

დავიდ ნალბანდიანი

**KROGER ST. JUDE**

მემფისი. ჰარდი

კაცები. საპრიზო 690 ათასი $

პირველი წრე

**ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) — ჟან-რენე ლისნარი (საფრანგეთი) 7:5, 6:4; **ჯეფ მორისონი** (აშშ) — უეინ ფერეირა (4, სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:4; **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (7, რუსეთი) 4:6 (დავიდენკომ შეწყვიტა); **ერიკ ტაინო** (აშშ) — კენეტ კარლსენი (8, დანია) 6:7 (4:7), 6:4, 6:4; **ბრაიან ვაალი** (აშშ) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:3, 6:4; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — ჟულიენ ჟარლე (საფრანგეთი) 3:6, 7:6 (7:5), 6:4

ირაკლი ლაბაძემ სეზონის პირველი სა-ATP-ო გამარჯვება მიითვალა. მემფისურ ჰარდსაფარზე მან იმ დღეს 23 წლის ტანმომცრო და უსახელო ფრანგ ჟან-რენე ლისნარს მოუგო.

ლისნარჩენ შეხვედრებში ერთბაშად სამი განთესილი გავარდა — დანიელ კარლსენი (8) ვინმე ერიკ ტაინომ (აშშ) მოერიკა, სამხრეთაფრიკელი ფერეირა (4) — ასევე ამერიკელმა ჯეფ მორისონმა, ხოლო რუსმა დავიდენკომ (7), ვინაც ერთი კვირის წინ (ანუ სანამ სან ხოსეში ჩავიდოდა) ჩეხურ-რუსული დევისშეხლის გადამწყვეტი მატჩი მოიგო, ვეტერან შვედ მაგნუს ნორმანთან მოგებული პირველი სეტის შემდეგ მარცხენა მაჯა იტკინა და კორტზე პირსახოცი გადააგდო.

სხვათაშორის — ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ენდი როდიკია, ვისაც მელბურნული ნახევარფინალის შემდეგ აღარსად უთამაშია და მაჯამოკვეთებული, ტიტულის დაცვას უწინარესად პარადორნ შრიჩაფანისა (2) და შარშანდელი ფინალისტის, თვისტომდოსტ ჯეიმს ბლეიკისაგან (3) ელდება.

**ქალები. საპრიზო 170 ათასი $**

პირველი წრე

**ამანდა კუცერი** (3, სამხრეთ აფრიკა) — ანჯელიკა რიოში (გერმანია) 2:6, 7:6 (7:4), 6:1

**COPA AT&T**

ბუენოს აირესი. თიხა

საპრიზო 380 ათასი $

პირველი წრე

**დავიდ ნალბანდიანი** (2, არგენტინა) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:3, 7:5; **გილერმო კორია** (8, არგენტინა) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:3, 3:6, 6:2; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:3, 6:4; **ფრანკო სკილარი** (არგენტინა) — ანდრე სა (ბრაზილია) 2:6, 6:3, 6:2; **ედგარდო მასა** (არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:4, 6:4

სამხრეთ ამერიკაში მესტუმრე მეთიხნარეებმა ვინადელმარული თიხნარკორტებიდან ბუენოსაირესულებზე გადაინაცვლეს. მასპინძლები სტუმრებს ფიცხლად დაუხვდნენ — საპირველდღეო ოთხი არგენტინულ-არაარგენტინული შეხლიდან ოთხივე გაუჩოთა გამარჯვებით დასრულდა.

შეხვედრებს 3 ათასამდე გიემაჟი მოსეირე დაესწრო და ყველაზე მეტად ვეტერანი სკილარის მიერ წითელყვავილებიანი ნიფხვით გამოცხადებული ბრაზილიელის, ანდრე სას ძლევით გაიხარა.

ფანებს, ცხადია, ისიც დასტურ ეამათ, რომ კვლავ რიგიან ფორმაში დაიგულეს შარშანდელი უიმბლდონის ფინალისტი, ყველა საფარზე რიგიანად მოჩოგნავე 21 წლის დავიდ ნალბანდიანიც, ვინაც ავსტრალიის ღია პირველობაზე — ეგებ არ დაგვიწყნიათ — მეოთხედფინალში გავიდა და იქ რაინერ შიუტლერთან დამარცხდა.

ისე კი — ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ჩილელი ნიკოლას მასუ გახლავთ. მაშინდელ ფინალში მან არგენტინელი აგუსტინ კალერი დაჩოგნა, თუმცა წლეულს ტიტულის შესანარჩუნებლად ბრძოლა ისეთ სახიფათო ხალხთან მოუწევს, როგორებიც კარლოს მოია (1), ფერნანდო გონსალესი (3), გასტონ გაუდიო (4), ხუან იგნასიო ჩელა (5) და გუსტავო კუერტენი (6) არიან.

**DUBAI DUTY FREE WOMEN'S OPEN**

ჰარდი. საპრიზო 585 ათასი $

პირველი წრე

**სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 7:6 (7:2), 6:2; **ლინა კრასნორუცკაია** (რუსეთი) — ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 6:3, 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:4, 6:0

რუსქალები ნაყატარევს დუბაის ეწვიენ და, ანგარიშებიდანვე დაატყობთ, იმ დღეს სამსავე მატჩში იმთნაწილევეს. კვლავ იმარჯვა 19 წლის ლინა კრასნორუცკაიამ, ვინაც 1999 წელს იუნიორთა შორის აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებული და მსოფლიოს ჩემპიონი შეიქმნა, მაგრამ შარშან, ავსტრალიის ღია პირველობის სტარტზევე მარცხენა კოჭი დაილეწა და მრავალი თვით კორტის მიღმა აღმოჩნდა. მისი სახელით ტკბობაც ამიტომ დაგვიგვიანდა — ეგ მით უფრო, რომ ტრავმა მძიმე გამოუდგა და ერთი პირობა ისიც კი აფიქრებინა, ჩოგბურთს ველარასოდეს ვითამაშებო...

ითამაშა და მერე როგორ! წინა კვირაში დოჰაურ ნახევარფინალს რომ უწია, ახლა დუბაიურ ჰარდზე ჩაუქობს. იმ დღეს რუსქალური დესანტიდან მხარი მას 17 წლის სვეტლანა კუზნეცოვამაც აუბა, რომელმაც ლამის დედისტოლა ივა მაიოლი გააგდო.

ლინასა და ლანას დუბაიში ყველაზე მეტად შარშანდელი ჩემპიონის, ამელი მორესმოსი, ჟუსტინ ენენ-არდენის, ჯენიფერ კაპრიატისა და მონიკა სელეშის უნდა ეშინოდეთ.

დუბაიში არ ჩასულა ამ უქმეებზე ანტვერპენზე გალაღებული ვინუს უილიამსი — ქალთა ამქრის მეორმეჩოგნემ ჩაუსვლელობის მიზეზად პირადი საამსეზონო განრიგის გადასხვაფერება მოიტანა.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS დუბაიდან

ჯენიფერ კაპრიატი ძველებურად ველარ შევარდნობს

*პორტუგალიასთან დამარცხებული საქართველოს ნაკრები გუშინ დილით მცხეთაში შეიკრიბა და 22 თებერვალს ესპანეთთან გასამართი მატჩისთვის მზადებას შეუდგა. ნამგზავრ ბორჯღალოსნებს გუშინ არ უვარჯიშიათ, მათ მხოლოდ ტრენაჟორებზე დაიტვირთეს თავი. დღეიდან კი ნაკრები საგანგებო რეჟიმზე გადავა და დღეში ორჯერ ივარჯიშებს*

# ნაგებზულებს არ ცვლიან რა დაგვემართა?!



ფიზმომზადების მწვრთნელმა ტიერი რუდილიმ მალხაზ ურჯუკაშვილს ოფლი ადინა

**სატრენაჟორო** დარბაზში შეკრებილი ბორჯღალოსნები, ცხადია, დალონებულები იყვნენ. ჩვენებს ჯერ კიდევ ვერ გაუაზრებიათ, როგორ მოახერხეს პორტუგალიასთან დამარცხება. „ამ მატჩზე საუბარი აღარ მინდა. გვეგონა, იოლად გავიმარჯვებდით. ჩვენს თავში დარწმუნებულები ვიყავით. 30:27-ზე ორი ლელოც გავიტანეთ, მაგრამ მსაჯმა არ ჩაგვითვალა. ბოლო წუთზე ჯარიმის კარში დარტყმის მაგივრად შერკინება მოვითხოვეთ, ბურთი უაზრო სიტუაციაში დავკარგეთ, პორტუგალიელებმა კონტრშეტევაზე დაგვიჭირეს და ლელო გაგვიტანეს. ერთი სიტყვით, ჩვენს თავს არ ვგავდით. დარწმუნებული ვარ, პორტუგალიელებს ათიდან ათ თამაშს მოვუგებთ, მაგრამ აზრზე ვერ მოვდივარ, კვირას რა დაგვემართა" — გვითხრა ბორჯღალოსანთა მორკინალმა აქვსენტი გიორგაძემ. თედო ზიბზიბაძე: „მატჩი უჩვეულო დროს, დილის თერთმეტ საათზე დაიწყო. მართალია, წინა დღით ადრე დავიძინეთ, მაგრამ გამოძინება მაინც ვერ მოვასწარით. ძალიან ბინძური თამაში იყო, პორტუგალიელები ხშირად განზრახ უხეშობდნენ, რაქში და მოლში წიხლაობდნენ. მსაჯი კი ამას რატომღაც ვერ ამჩნევდა, ეგ კი არა, მე ნაღდი ლელო არ ჩამითვალა. ისე არ გაიგოთ, წაგებას მსაჯს ვაბრალებ, ჩვენც ძალიან ბევრჯერ შევცდით."

საღამოს ექვსი საათისთვის სატრენაჟორო დარბაზში ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელიც მოვიდა თავისი ფრანგი თანაშემწეებით. ნაკრების წევრებმაც გამოიცვალეს და ვარჯიშს შეუდგნენ.

სიმძიმეებთან ჭიდილს მოერიდა ბესიკ ხამაშურიძე, რომელმაც პორტუგალიასთან მატჩში თითი დაიზიანა, მაგრამ საესპანეთოდ მზად იქნება. წელს იტკიებს ირაკლი აბუსერიძე, თუმცა სერიოზული არაფერია. დანარჩენები ჯანზე არიან და სრული დატვირთვით ვარჯიშობენ.

პორტუგალიასთან დამარცხებული გუნდიდან სორელი არავის შეცვლის და ესპანელებს იგივე შემადგენლობას დაახვედრებს:

**მორკინალები:** *გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, ტარიელ რატიანიძე, დავით ხინჩაგაშვილი, სოსო ნიკოლაენკო, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ზვიად მაისაშვილი, გიორგი ჩხაიძე, დავით ბოლღაშვილი, გრეგუარ იაშვილი, ილია ზედგინიძე*

**უკანა ხაზი:** *ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ვასილ კაცაძე, ბადრი ხეხელაშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი გუნდიშვილი, ირაკლი გიორგაძე*

# ბურთი თავისითაა: ნუ დაკარგავთ!

## სორელმა მოგვიპარდონა, აბა, ექსპერიმენტებს მსოფლიოზე ხომ არ ჩავატარებო

*პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ კლოდ სორელმა მაგრად შეგვჯორა, ასეთი გაბრაზებული ჯერ არ გვინახავსო, თქვეს გუშინ ბორჯღალოსნებმა. გუშინვე, საღამოს ჩვენებს პორტუგალიასთან წაგებული მატჩი უნდა გაერჩიათ და სორელისგან არც მაშინ ელოდნენ „ტკბილ" სიტყვებს. სატრენაჟორო დარბაზში მოსულ სორელს, ჩვენდა გასაკვირად, უხასიათობისა არაფერი ეტყობოდა. პირიქით, იღიმებოდა და ყველას მოგვესალმა. ერთხანს ბიჭებს რაღაცაზე ეთათბირა, მერე ჩვენკენ შემობრუნდა, მოგვიახლოვდა და...*

— ძალიან გაბრაზებულები ხართ? ბოდიშით, პორტუგალიას რომ ვერ მოვუგეთ — ღიმილით გვითხრა სორელმა და ეს მცირე ინტერვიუც ასე დაიწყო.

**— რა თქმა უნდა, გული დაგვწყდა.**

— არა უშავს, ყველაფერი წინ არის. რაც უნდა პარადოქსი იყოს, ნაკრები პროგრესს განიცდის. პორტუგალიასთან მრავალჯერ კი შევცდით, მაგრამ იყო რამდენი მომენტი, რომლებიც ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. ასე ვთქვათ, ჩვენს კარგ თამაშს ცუდი თამაში ცვლიდა და პირიქით. ჩემთვის მნიშვნელოვანი ის, კარგი თამაშია. ბიჭებმა ისეთი ხარვეზები გამოასწორეს, რასაც ნაღდად არ ველოდი.

**— მატჩის შემდეგ ბიჭებს მკაცრად დალაპარაკებიხართ...**

— აბა, სხვას რას ელოდნენ... დროდადრო ცოტა შეფუცხუნება, ნამდვილად არ აწყენთ.

**— მარცხის ძირითადი მიზეზი რა იყო?**

— ძალიან ბევრი ტექნიკური წუნი. არადა, თამაში ჩვენ მიგვყავდა, ანგარიშშიც წინ ვიყავით, მაგრამ ბურთს ხშირად ვკარგავდით, რითაც მეტოქეს შეტევას საშუალებას ვაძლევდით. მთლიანობაში ჩემების თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ.

**— მსაჯობაზე ბევრმა თქვა. თქვენ როგორ შეაფასებდით უელსელი მსაჯის მოქმედებას?**

— მთლიანობაში მან კარგად იმსაჯა, ვერ ვიტყვი, რომ მიკერძოება შევამჩნიე, თუმცა ისეთ მომენტებში შეცდა, ჩვენთვის ფატალური რომ აღმოჩნდა. მატჩის ბოლო წუთზე ძელებს შორის დადებული ნაღდი ლელო არ ჩაგვითვალა. ეს რომ არა, პორტუგალია უშანსოდ იყო.

**— პორტუგალიასთან ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშეთ. იგივენი ითამაშებენ ესპანეთთანაც. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ წლეულს ერთა თასის მოგება თქვენთვის მთავარ ამოცანას არ წარმოადგენს?**

— არც ეგრეა საქმე, მაგრამ რომ ვთქვა, ერთა თასის მოგებაზე ვარ გადართული-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ჩვენი მიზანია, კარგად მოვემზადოთ მსოფლიოს თასისთვის. ბოლოს და ბოლოს, იქ ხომ არ დავიწყებ ექსპერიმენტებს. პორტუგალია და ესპანეთი კი ის მეტოქეები არიან, რომლებთანაც შეიძლება ახალბედების გამოცდა.

**— ესე იგი, პრინციპულ მეტოქეებთან — რუსეთთან და რუმინეთთან ნაკრების ძირითადი ბირთვი ითამაშებს?**

— ამას გადაჭრით ვერ ვიტყვი, მაგრამ თამამი ექსპერიმენტები არ იქნება. ამ მატჩების პრინციპულობა კარგად მესმის. ესპანეთთან მატჩი დაგვანახებს, საითკენ გვმართებს მუშაობა.



კლოდ სორელი ერთხელაც წაუექსპერიმენტებს

**ბაჩო სვანიძე**





REUTERS ფოტოდან

რეინჯერსელი ბობი ჰოლიკი ოტაველ შეინ ჰნიდის მიახტა

# კოზლოვური სიხარული ხომ შეგიგდეთ!

17 თებერვალი

**ოტავა 3:2 რეინჯერსი** *1:1 2:0 0:1*

**1:0 ბონკი (4), 1:1 ლინდროსი (5), 2:1 ფიშერი (24), 3:1 ჰავლატი (37), 3:2 კოვალიოვი (48)**

არა, რეინჯერსს ვერც კოვალიოვი უშველის, ვერც ბურე და ლიჩი და ვერც ვერავინ. ნიუიორკელებს კარგა ხანს აკლდათ ბურე და ლიჩი (პირველმა 33 თამაში გამოტოვა, მეორემ — 31), მაგრამ ისინი როგორც იქნა, დაბრუნდნენ. რეინჯერსი ოპტიმალური შემადგენლობით წარუდგა ოტავას, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა. ნიუიორკელებმა ალექსეი კოვალიოვის გოლის გარდა (მესამე შაიბა რეინჯერსში ჩატარებულ 4 თამაშში), ბევრი ვერაფერი მოახერხეს. კოვალიოვის პირველ ორ რეინჯერულ მატჩს მოგება დაემთხვა და ქომაგებს იმედის ნაპერწკალი გაუჩნდათ, მაგრამ რაღ გინდა, ამას ორი მარცხი მოჰყვა. საინტერესოა, რომ თამაშის შემდეგ ერთმა რეინჯერსელმაც არ წაიცდინა სიტყვა გუნდის სავალალო ყოფაზე. პაველ ბურემ თავისი თამაში მოიწონა კიდეც, უბრალოდ, ბედი არ მწყალობდაო. გუნდის თავკაცმა გლენ საზერმა ლინდროსი აქო — ერიკმა კარიერაში პირველად ითამაშა ფრთის პოზიციაზე და არცთუ ურიგოდ გამოუვიდაო. მათ რომ ვერწმუნოთ, საქმე იდეალურად მისდით... რას გაუგებ ამ მილიონერებს!

**ჩიკაგო 4:5 კოლორადო** *0:1 3:4 1:0*

**0:1 რაინარეხტი (9), 0:2 ტანგუი (24), 1:2 სალივანი (26), 1:3 ჰეიდუკი (27), 2:3 ჟამნოვი (29), 2:4 ობენი (33), 3:4 ტომასი (35), 3:5 ვრბატა (55), 4:5 დაზე (46)**

ამდენი ხანია, კოლორადოს ლიდერი ჯო საკიკი აკლია, მაგრამ დენვერელები სულაც არ განიცდიან მის უქმარისობას. 13 მატჩია, „ეველანშს" ძირითად დროში არ წაუგია. აქამდე ამას ძირითადად პეტერ ფორსბერგისა და მისი ტრიოს საუცხოო თამაშის წყალობით ახერხებდა, ამჯერად კი შვედმა მხოლოდ ერთი პასი იკმარა, თუმცა მისმა გუნდმა მაინც მოიგო. საკიკი კი, როგორც იუწყებიან, მომდევნო კვირაში აპირებს დაბრუნებას, თუმცა მისი გუნდის თამაშის ხარისხიდან გამომდინარე შეუძლია, არ იჩქაროს.

**ატლანტა 4:3 ბუფალო** *0:1 1:1 2:1 1:0*

**0:1 დიუმონი (10), 1:1 სნაიდერი (23), 2:1 კონოლი (26), 2:2 კოზლოვი (46), 2:3 პიტლი (55), 3:3 ბრაუნი (56), 3:4 შტეფანი (64)**

„ბედნიერი ვარ, რომ ამათ მოვუგეთ" — თქვა ატლანტელმა სლავა კოზლოვმა. გვესმის მისი. შარშან იგი ბუფალოში თამაშობდა... რუსმა დიდი სიამოვნებით დატოვა „ხმლების" ბანაკი, ვინაიდან, როგორც თავად თქვა, იქ ძალიან არაჯანსაღი ატმოსფერო სუფევდა და კარგად თავს მხოლოდ ინტრიგანები და დამსმენელები გრძნობდნენ.

**ტამპა 3:1 ვაშინგტონი** *0:0 0:1 3:0*

**0:1 ლანგი (39), 1:1 ბოილი (43), 2:1 მოდინი (44), 3:1 პროსპალი (59)**

**სენტ ლუისი 5:3 კალგარი** *2:3 3:0 0:0*

**0:1 იგინლა (1), 0:2 ლუდმანი (4), 1:2 დემიტრა (5), 1:3 ლოუნი (9), 2:3 ტკაჩუკი (15), 3:3 ტკაჩუკი (24), 4:3 ნეში (32), 5:3 დემიტრა (40)**

**ნეშვილი 5:1 ბოსტონი** *1:0 3:0 1:1*

**1:0 ჯონსონი (3), 2:0 დელმორი (23), 3:0 მიური (25), 4:0 ჰოლი (27), 4:1 ბოინტონი (41), 5:1 მიური (54)**

**ლოს ანჯელესი 3:2 სან ხოსე** *0:0 1:1 2:1*

**0:1 შტურმი (30), 1:1 არმსტრონგი (34), 2:1 პალფი (46), 2:2 დიმიტრიაკოსი (49), 3:2 ფროლოვი (54)**

**ანაჰაიმი 2:2 აილენდერსი** 0:1 1:1 1:0 0:0

**0:1 ოკონი (6), 1:1 სიკორა (29), 2:1 კარია (42), 2:2 იაშინი (53)**

გამოჩენილმა პლეიმეიკერმა, ანაჰაიმელმა ადამ ოუთსმა მორიგი ორი პასი მიითვალა და ლიგის უყოჩაღეს მეპასეთა სიაში მეექვსეადგილოსან, ლეგენდარულ გორდი ჰოუს გასცდა. 18 წელია, ოუთსი ნჰლ-ში თამაშობს და სულ 1050 პასი დაუგროვდა.

„გორდი ჰოუ ჰოკეის ერთ-ერთი სიმბოლოა და მიუხედავად იმისა, რომ დიდი მეპასე არასდროს ყოფილა, მაინც ფრიად სასიხარულოა, რომ გავუსწარი" — თქვა მატჩის შემდეგ კმაყოფილმა ვეტერანმა.

**სამველ ღარიბიანი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 57 | 35 | 3 | 4 | 15 | 148:111 | 77 |
| ფილადელფია | 58 | 30 | 10 | 2 | 16 | 134:123 | 72 |
| აილენდერსი | 58 | 27 | 6 | 2 | 23 | 158:162 | 62 |
| პიტსბურგი | 58 | 23 | 4 | 5 | 26 | 149:167 | 55 |
| რეინჯერსი | 62 | 23 | 7 | 2 | 30 | 157:189 | 55 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ოტავა | 60 | 37 | 7 | 1 | 15 | 191:131 | 82 |
| ტორონტო | 58 | 32 | 4 | 1 | 21 | 165:140 | 69 |
| ბოსტონი | 58 | 28 | 5 | 2 | 23 | 171:162 | 63 |
| მონრეალი | 60 | 24 | 7 | 6 | 23 | 157:172 | 61 |
| ბუფალო | 57 | 16 | 7 | 5 | 29 | 125:156 | 44 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ვაშინგტონი | 61 | 28 | 7 | 3 | 23 | 170:160 | 66 |
| ტამპა | 59 | 24 | 9 | 5 | 21 | 164:167 | 62 |
| ფლორიდა | 58 | 16 | 11 | 9 | 22 | 135:175 | 52 |
| კაროლინა | 59 | 18 | 7 | 6 | 28 | 126:168 | 49 |
| ატლანტა | 58 | 20 | 4 | 4 | 30 | 157:207 | 48 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 60 | 31 | 8 | 5 | 16 | 194:157 | 75 |
| დეტროიტი | 58 | 30 | 9 | 2 | 17 | 172:146 | 71 |
| ჩიკაგო | 60 | 24 | 10 | 3 | 23 | 147:145 | 61 |
| ნეშვილი | 58 | 21 | 9 | 4 | 24 | 135:149 | 55 |
| კოლუმბუსი | 57 | 22 | 6 | 2 | 27 | 156:175 | 52 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 58 | 33 | 9 | 0 | 16 | 176:147 | 75 |
| კოლორადო | 58 | 27 | 11 | 6 | 14 | 169:143 | 71 |
| მინესოტა | 59 | 29 | 8 | 1 | 21 | 141:129 | 67 |
| ედმონტონი | 58 | 26 | 6 | 6 | 20 | 158:157 | 64 |
| კალგარი | 60 | 18 | 9 | 4 | 29 | 132:174 | 49 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 59 | 34 | 12 | 1 | 12 | 180:117 | 81 |
| ანაჰაიმი | 59 | 27 | 8 | 4 | 20 | 146:144 | 66 |
| ლოს ანჯელესი | 59 | 25 | 4 | 4 | 26 | 153:161 | 58 |
| ფინიქსი | 57 | 21 | 7 | 4 | 25 | 142:156 | 53 |
| სან ხოსე | 59 | 21 | 6 | 5 | 27 | 158:176 | 53 |

# სენტმორიცული

შვეიცარიულ სენტ მორიცში, განთქმულ სამთო ალაგას, სადაც ეს დღეებია, სამთო თხილამურობის მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობდა, არც ტრადიციული შეჯიბრი დაივიწყეს. თებერვლის ზედიზედ სამ კვირას აქ ცხენებს ჩაბმული მოთხილამურეები ეჯიბრებიან ხოლმე ერთმანეთს.

REUTERS სენტ მორიციდან



REUTERS ლოს ანჯელესიდან



# პაჩი პაულეტასა...

ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ჩვეული. მსახიობი და რეჟისორი დენზელ ვაშინგტონი და მისი ცოლი პაულეტა „ლოს ანჯელეს ლეიკერსისა“ და „სან ანტონიო სფურზის“ თამაშზე ჩამომსხდარან და ერთმანეთს კოცნიან, რაც ცოლ-ქმარს შორის კი არა, უცხო ხალხშიც მოხდება ხოლმე. თუმცა, ეს ამბავი წმინდა ვალენტინის დღეს იყო.

# კოსტელიჩებისთვის მოუწყვიათ

ზაგრებს კვლავ ოქროთი დახუნძლული დაუბრუნდა ხორვატიის სამთო თხილამურობის დედოფალი იანიცა კოსტელიჩი, რომელმაც შვეიცარიულ სენტ მორიცში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ორ სახეობაში იმარჯვა. გიგანტურ სლალომში ოქრო მოიპოვა იანიცას ძმამ, ივიცამ.

REUTERS ზაგრებიდან



REUTERS მარსელიდან



# ხელი ხელში

შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა მარსელის საჩოგბურთო ტურნირი მოიგო და მთავარი პრიზიც, ბურთიანი ხელის ქანდაკი დაიმსახურა.

# დაიტონა-500



REUTERS დაიტონიდან



აი, როგორია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე რისკიანი ავტოშეჯიბრი, დაიტონა-500. ფლორიდაში, დაიტონა ბიჩზე 43 მრბოლი ეჯიბრება ერთმანეთს რიგით 45-ე „დიდ ამერიკულ რბოლაში“. რაიან ნიუმენის მანქანა ასეთ დღეში ჩავარდნილა, განთქმული მომღერალი მერაია ქერი კი მედროშედ მოწყობილა და გვარიანადაც ერთობა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge